# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 9 იანვარი 2006 №1 (2623) ფასი 50 თეთრი


# დღეს ქართულ ფეხბურთს ახალი წელი დაუდგება

## მალე შობაც მოგველოცოს!



დადგა ახალი წელი და დაიწყო ახალი წელი მრავალტანჯული ქართული ფეხბურთისთვის.

ჩვენი თამაშისთვის და ჩვენი ნაკრებისთვის მთავარი ახლა სწორედ ეს ორი კაცია, რომლებსაც სახეზე სიმტკიცე და სერიოზულობა ეტყობათ. ამგვარი იერი იმედსაც გვისახავს და იერს უკან საქმესაც მოველით.

სხვანაირად უკვე წარმოუდგენელია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სავარძელი ქვეყნის პრეზიდენტის სავარძლის შემდეგ ყველაზე ცხელი ავეჯია ჩვენს ქვეყანაში. ნაკრების მწვრთნელებს კი ჯერ სავარძლებიც არ ჰქონიათ, ისინი ფეხზედგომელა მწვრთნელობდნენ და ტოვებდნენ თავიანთ თანამდებობას.

ეგებ, ახლა მაინც, ახალი წლით, ახალი დასაწყისით, ახალი იმედით დაიწყოს რალაც ახალი და ბოლოს ნაკრების მესაჭესაც ერგოს ერთი საპატიო სავარძელი.

ლამის სისხლში გამჯდარი მარცხის შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყება. უკვე მერამდენედ და, გულშემატკივრის მკრთალი ოცნებაც ეს არის: ეგებ, ამჯერად...

მოკლედ, კლაუს ტოპმიოლერი თბილისშია და დღეს ოფიციალურად შეიქნება საქართველოს ნაკრების მწვრთნელი.

გერმანელი ძალიან ძნელ საქმეს ეჭიდება.

ჩვენში, ჩვეულებრივ, დროს არ იძლევიან.

თუმცა ესეცაა, რომ ჯერჯერობით მთავარი თამაშია და არა შედეგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# დღეს: ქართული ფეხბურთის კონტრაქტი იმედთან

**გადაწყვეტილი** ამბავია: დღეს საღამოს, 18 საათზე სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ოფიციალურ კონტრაქტს გააფორმებს. ცერემონია მედიისთვის ღია იქნება და ორივე მხარის მიერ დოკუმენტზე „ავტოგრაფის“ დატოვების შემდეგ ნოდარ ახალკაცი და კლაუს ტოპმიოლერი ბრიფინგსაც გამართავენ. ბოლო დეტალების დაზუსტებას კი გუშინდელი დღე და მოლაპარაკების ბოლო, თითქმის სამსაათიანი რაუნდი უძღოდა.

კლაუს ტოპმიოლერი თბილისში 8 იანვარს, გამთენიისას ფრანკფურტის ავიარეისით ჩამოფრინდა და პირველი ვიზიტისას აგრერიგად მოწონებულ „თბილისი მარიოტში“ დაბინავდა. ამჯერად ჰერ კლაუსს მეუღლე არ ჩამოჰყოლია, სამაგიეროდ, იახლა რალფ მინგე — საქართველოს ნაკრებში მარჯვენა ხელად შეგულებული თანამოაზრე და მეგობარი.

ქართულმა მხარემ სტუმრებს დასვენების საშუალება მისცა და მოლაპარაკების მაგიდასთან ნაშუადღევის სამი საათისთვის იწვია. თუ ტოპმიოლერმა კონტრაქტის გადათეთრებული პირისთვის ათასმეერთედ თვალის გადასავლებად თანაშემწე იახლა, ნოდარ ახალკაცს ფეხბურთის ფედერაციის ახალი გენერალური მდივანი უჩა უგულავა და სფფ-ის ინტერესების დამცველი გერმანელი ადვოკატი იან იონეშაიტი ედგნენ გვერდში.

მოლაპარაკებისთვის დარბაზი სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ იყო დაჯავშნული. ქართველები და გერმანელები სასტუმროს ზუსტად დათქმულ დროს მიადგნენ. მართალია, კონტრაქტის ოფიციალურ გაფორმებამდე საათებიღა რჩება და ჩაკეტილ კარს მიღმა წარმართული გუშინდელი საუბარიც ოდენ ბოლო ნიუანსების შეჯერებას ისახავდა მიზნად, „ქორთიარდის“ ჰოლში ახალკაცის მიერ გაკეთებული კომენტარი საკმაოდ მოზომილი იყო:

„შეთანხმება ფაქტობრივად მიღწეულია, მაგრამ გვინდა, საბოლოოდ შევაჯეროთ პოზიციები, მოლაპარაკებათა პროცესს კი ლოგიკური წერტილი მხოლოდ ხვალ დაესმება“.

ორსაათნახევრიანი საუბარი, დიპლომატების ენით რომ ვთქვათ, „სრული ურთიერთგაგებისა და კეთილგანწყობის“ ვითარებაში წარიმართა. „ქორთიარდ მარიოტიდან“ გამოსული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის განწყობაც შესაბამისი იყო. უჩა უგულავამ მოლაპარაკებების დასრულება გვამცნო:

„კონტრაქტში უმნიშვნელო შესწორებები შევიტანეთ. შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელია. რაც შეეხება შეთანხმების ფინანსურ დეტალებს, გასაიდუმლოებას არ ვაპირებთ, თუმცა დღეს მათი აფიშირებისგან თავს შევიკავებთ. თქვენთვის საინტერესო ყველა ინფორმაციას ხვალისთვის დაგეგმილ ბრიფინგზე მიიღებთ“.



რალფ მინგე და კლაუს ტოპმიოლერი

ზემოთ უკვე მოგახსენეთ, ტოპმიოლერი სფფ-სთან კონტრაქტს ხელს დღეს საღამოს მოაწერს და საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის სავარძელშიც ოფიციალურად ჩაბრძანდებაო. თუმცა, საამისოდ გარკვეული ფორმალობების დაცვაა საჭირო. ამ ფორმალობების მოსაგვარებლად ნოდარ ახალკაცმა კიდევ ერთხელ იწვია ფედერაციის აღმასკომი. მისი წევრები „ქართული ფეხბურთის სახლში“ დღეს დილის ათი საათისთვის შეიკრიბებიან, გაიოზ დარსაძეს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მადლობით გაისტუმრებენ და ნოდარ ახალკაცს მწვანე შუქს აუნთებენ ტოპმიოლერთან კონტრაქტის გასაფორმებლად.

რომ იტყვიან, ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება. კლაუს ტოპმიოლერის გამთავარმწვრთნელება ეგებ ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავიც კი იყოს საქართველოს ნაკრების თხუთმეტწლიან ისტორიაში. თუმცა არც იმდენად მიამიტნი ვართ, ჩვენი ქვეყნის უპირველესი საფეხბურთო გუნდი უკვე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე დავიგულოთ. ჩვენი დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ტოპი ალბათ შესაძლებლობის მაქსიმუმი იყო. ახლა თავად ჰერ კლაუსს მოუწევს საუკეთესო ქართველ ფეხბურთელებთან ერთად შესაძლებლობების ზღვარზე სიარული. და ვინ იცის, სად გადის ეს ზღვარი? იქნებ არც ისე შორს ჩვენი აუხდენელი ოცნებიდან...

**გიორგი ნოზაძე**

# ერთი ნაბიჯი დონეცკამდე

## აშვეთია მიდის, დემეტრაძე რჩება?



**99-პროცენტიანი** ამბავი: საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია დონეცკის „მეტალურგში“ ითამაშებს.

ამის თაობაზე „სარბიელი“ ადრეც წერდა, გუშინ კი შევიტყვეთ, რომ აშვეთია უკვე დონეცკში გასამგზავრებლად ემზადება. მხარეებმა პირობებზე სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწიეს და ამ ტრანსფერს არც მოსკოვის „ლოკომოტივი“ ეწინააღმდეგება. შეგახსენებთ: ჩვენებური „ლოკომოტივს“ კიდევ ერთი წლით ეკუთვნის.

სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ ისიც, რომ „მეტალურგი“ აღარ აპირებს კიდევ ერთ ქართველ, გიორგი დემეტრაძესთან მოლაპარაკების გაგრძელებას. საამისოდ დონეცკელებს ვლადიკავკაზის „ალანიას“ მოზრდილი მადა უშლით ხელს და არც ისაა გამორიცხული, დემემ მომავალი სეზონი სწორედ ოსურ კლუბში გაატაროს.

**კახა შალამბერიძე**



# ალანია ქართველებს — ნადით!

## სად გამოიჩხრიკა ჯაბა კანკავას მოსკვა?

**ვლადიკავკაზის** „ალანიადან“ ქართველთა აბარგება საბოლოოდ გადაწყვეტილია. ოსებმა შეკრება დაიწყეს, რომელზეც რამდენიმე ქართველი ფეხბურთელიც გამოცხადდა, თუმცა მათ უთხრეს — პირველ დივიზიონში ლეგიონერებზე ლიმიტია დაწესებული და ამის გამო ტრანსფერზე ხართ დაყენებულნიო.

რუსულმა პრესამ კი მოულოდნელი ინფორმაცია გაავრცელა, ჯაბა კანკავამ „მოსკვასთან“ კონტრაქტი გააფორმაო. ის კი არა, „მოსკვას“ მწვრთნელ ლეონიდ სლუცკის სიტყვებსაც იმოწმებდნენ, კანკავა პოსტსაბჭოეთში გამორჩეული პერსპექტიული ფეხბურთელია, სამწლიან კონტრაქტზე დავითანხმეთ და მოხარული ვარ, რომ ეს იაფად მოვახერხეთო.

ცხადია, თავად კანკავას დავუკავშირდით, რომელსაც გაუკვირდა, „მოსკვაზე“ ლაპარაკიც კი არ ყოფილაო: „გაურკვევლობაში ვარ, რომელ კლუბში გადავალ, ჯერ არ ვიცი და, იმედია, ერთ კვირაში ყველაფერი მეცოდინება. „მოსკვა“ ჭორია. ისე, ქართული კლუბებიც მიწვევენ“ — გვითხრა ჯაბამ.

**ილია ნანოგაშვილი**




**საკმაო** შესვენების შემდეგ, დღეიდან გაიხსნება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი.

ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ვებგვერდს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და გასაშვებად უკვე მზადაა.

ვებგვერდი სფფ-ის წინა ხელმძღვანელობის დროს გაიხსნა, თუმცა ნოდარ ახალკაცის გაპრეზიდენტების შემდეგ მისი განახლება გადაწყვიტეს და დაპირებისამებრ, ნაახალწლევს ახალი საიტი მომზადდა.

**კახა შალამბერიძე**

# სირაძის იები პორტუგალიაში

**დავით სირაძემ** მეორე ბუნდესლიგელ აუე-ში სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა და ამ კვირაში გუნდს პორტუგალიურ შეკრებაზე მიჰყვება.

„იების“ (აუე-ს მეტსახელია) ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ სირაძესთან კონტრაქტი იანვარში გაფორმდება, ოღონდ კონკრეტული თარიღი აღარ უთქვამს.

შეგახსენებთ, სირაძისთვის აუე მესამე გერმანული კლუბია. მანამდე ქართველი ნახევარმცველი ბერლინის „უნიონში“ და „ტრირში“ თამაშობდა.

**ილია ნანოგაშვილი**

# მჟავანაძემ შავ ზღვაში შეცურა



კახა მჟავანაძე (№2) ჩერნომორელეცელია

**საქართველოს** ნაკრებისა და მახაჩყალის „ანჟის“ მცველი კახა მჟავანაძე ოდესის „ჩერნომორეცში“ გადავიდა. 27 წლის ქართველმა ფეხბურთელმა უკრაინულ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ახალ გუნდს გუშინ შეუერთდა.

ოდესელები 15 იანვრამდე საკუთარ ბაზაზე ივარჯიშებენ, მერე კი უცხოურ შეკრებაზე აპირებენ წასვლას.

რუსული პრესის ცნობით, „ბათუმის“, მოსკოვის „სპარტაკისა“ და „ანჟის“ ყოფილ მოთამაშეს „კრილია სოვეტოვი“ და „ზენიტიც“ ეპატიჟებოდნენ, თუმცა მან უკრაინაში გადაბარგება არჩია.

შეგახსენებთ, რომ „ჩერნომორეცში“ კიდევ ერთი ქართველი, ილია კანდელაკი ირიცხება.

**კახა შალამბერიძე**

# ჯაკობია მეტალისტს არაბეთშიც უკაპიტნებს




**ლაშა ჯაკობია** „მეტალისტს“ არაბულ შეკრებაზე გაჰყვა.

ეს ამბავი იმითაა საინტერესო, რომ ცოტა ხნის წინ ლაშას გუნდის დატოვება ჰქონდა გადაწყვეტილი და ამას ხარკოველებიც შეგუებულნი იყვნენ.

ჯაკობიათი უკრაინული და რუსული კლუბები არიან დაინტერესებულნი, მაგრამ ეს საქმე ჯერჯერობით წინ არ მიდის.

„მეტალისტის“ ქართველ კაპიტანს გუნდის გამოცვლა ჯერ არ გადაუფიქრებია და თუ სერიოზული წინადადება მიიღო, ხარკოველებს არაბეთიდან დაბრუნების მერე დაემშვიდობება.

**კახა შალამბერიძე**

# როგორ დაიწერება ბერძნულად ფოფხაძე?



**„თბილისის“** მცველი გიორგი ფოფხაძე უკვე ათი დღეა, ბერძნულ „ოლიმპიაკოსში“ ვარჯიშობს. 19 წლის ქართველ ფეხბურთელს ბერძნები ვარჯიშებზე აკვირდებიან, მალე კი ამხანაგურ მატჩში გამოცდასაც უპირებენ.

ფოფხაძეს „ოლიმპიაკოსის“ გარდა შვედური „იოსტერიც“ ეპატიჟება, მაგრამ ეს ვარიანტი ჯერჯერობით სათადარიგო უფროა. გიორგის ბერძნები საბოლოო პასუხს იანვრის მეორე ნახევარში ეტყვიან.

შეგახსენებთ, რომ „ოლიმპიაკოსი“ ფოფხაძით ერთი თვის წინ დაინტერესდა და ამ საქმეში „ოლიმპიაკოსის“ ყოფილი ფეხბურთელი, ამჟამად კლუბის სელექციონერი ანდრო ნინიადისი მონაწილეობდა.

**კახა შალამბერიძე**

# სვანაძე შვედეთში მიბრუნდა

**თბილისის** „დინამოს“ მწვრთნელი ზაურ სვანაძე შვედეთში გაემგზავრა. „დინამოს“ პრესსამსახურის ცნობით, სვანაძეს შვედეთის რეგიონალლიგის ერთ-ერთმა კლუბმა შესთავაზა სამსახური და ჩვენიანმაც თანხმობა თქვა.

გეხსომებათ, ფეხბურთელის კარიერა სვანაძემ სწორედ შვედეთში დაასრულა და მწვრთნელობაც იქვე დაიწყო.

„დინამოს“ ხელმძღვანელობას სვანაძისთვის ხელი არ შეუშლია და უპრობლემოდ გაათავისუფლა.

მოკლედ, მოახლოებულ „თანამეგობრობის თასზე“ მთავარ მწვრთნელ კახა ცხადაძეს კლუბში მომუშავე რომელიმე სხვა მწვრთნელი დაეხმარება, მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ კი ოფიციალურად გაირკვევა მისი თანაშემწის ვინაობა.

**კახა შალამბერიძე**



ოთარ მარცვალაძე



კახა ალადაშვილი



ლადო ახალაია

# ზოგი შევსებაზე, ზოგი შეთხელებაზე

*შობა-ახალმა წელმა გადაიარა, საქართველო ბრიტანეთი არაა და ჩვენთან დღესასწაულებზე საფეხბურთო დუღილი მოდაში არასოდეს ყოფილა, მაგრამ მაინც ბევრი რამ მოხდა. აქ კლაუს ტომპიოლერის ჩამოსვლაზე კი არა, ქართულ კლუბებში მიმდინარე პროცესებზე ვილაპარაკებთ. ვერ არის საქმე კარგად: „დილას“ და „ცხინვალს“ ვინლა ჩივის, ფერიან გუნდებსაც გაუფითრდათ სახე და ნელ-ნელა ვრწმუნდებით, რომ თავისთავად სასურველი ბევრგუნდიანი ჩემპიონატი ღარიბი საქართველოსთვის ჯერ ნამეტანი ფუფუნებაა. სატრანსფერო მიდი-მოდი კი, იცოცხლეთ...*

## ვიტ ჯორჯია

ოთარ მარცვალაძე კიევის „დინამოშია“ და იქაურებს უკვე მოაწონა თავი. საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის ბომბარდირი კიეველებს არაბულ აბუ-დაბიში მიჰყვება შეკრებაზე, საბოლოო სიტყვა კი უკრაინული გრანდის თავკაც ანატოლი დემიანენკოზეა.

„ვიტ ჯორჯიას“ დანარჩენი ფეხბურთელები კი თბილისში ვარჯიშობენ და 25 იანვარს ნესტორ მუმლაძის გუნდი ანთალიაში წავა შეკრებაზე. „ვიტ ჯორჯიას“ ორი ახალწვეული ჰყავს — 20 წლის მეკარე ღრუბელეიშვილი „გარდაბანიდან“ და 21 წლის ფორვარდი ბეგოიძე აგარის „მეშაქრედან“.

## სიონი

ბოლნისის რაონის გამგეობას „მადნეულის“ ხელმძღვანელობაც რომ მხარში ედგეს, „სიონის“ ბედს ძალი არ დაჰყეფდა, ასე კი... „მადნეულის“ ახალი მეპატრონე, კომპანია „პრომინვესტი“ ქვემოქართლურ კლუბს რას უმზადებს, კაცმა არ იცის. ეს ყველაფერი პარტნიორთა კრებაზე უნდა გაირკვეს.

„სიონს“ უკვე შვიდი ფეხბურთელი დააკლდა, მათ შორის ოთხი თბილისის „დინამოში“ დაბრუნდა. სავარაუდოდ, ბოლნისელები ვერც ხმალაძეს, ვერც კვიტაიშვილს, ვერც დვალს და ვერც ქუცურუას ველარ აიყვანენ, ამიტომაც სხვა ტრანსფერებზე იზრუნეს: მეკარე ზურაბ ბათიაშვილი („კოლხეთი“), მცველები — ლაშა ჭელიძე („ბორჯომი“) და ბეგლარ თედორაძე („ბათუმი“), ნახევარმცველი გიორგი ყიფიანი (უგუნდო) და თავდამსხმელი ირაკლი სირბილაძე („ლოკომოტივი“). ნამატი მაინც ვერაა საკმარისი, ამიტომაც „სიონი“ აგრძელებს სატრანსფერო ფუსფუსს.

## ლოკომოტივი

ამ კლუბში მთავარი, გულდასაწყვეტი ამბები ახალ წლამდე მოხდა — 10 ფეხბურთელის წასვლის შემდეგ „ლოკომოტივის“ მიზნებზე ლაპარაკი უხერხულია, ვაკელებს ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ეყოლებათ ჩემპიონატში. „ლოკომოტივი“ სერიოზულ სატრანსფერო ფაციფუცს არც აპირებს.

## დინამო

კახა ცხადაძის გუნდი 12 იანვარს მოსკოვში, „თანამეგობრობის თასზე“ სათამაშოდ გაემგზავრება, მაგრამ რა შემადგენლობით? „დინამომ“ პირველ ეტაპზე გასხვისებული ყველა მოთამაშე უკან დაიბრუნა, თუმც ზოგიერთ მათგანს, ალბათ, ისევ გაანათხოვრებს — ლაპარაკია ჯაბა დვალზე, გიორგი ქუცურუაზე, გიორგი კვიტაიშვილზე, ლევან ხმალაძეზე, მიხეილ კაკალაძესა და ირაკლი თოთლაძეზე.

კიევის „დინამოში“ ისინჯება კახა ალადაშვილი და თუ უკრაინული გუნდი ქართველის აყვანას გადაწყვეტს, თბილისელებს გარკვეულ კომპენსაციას გადაუხდის. ფრანგი ლეგიონერი ჟულიენ ოლებეკი კი სამშობლოში დაბრუნდა — „დინამო“ მის დამატებას არ აპირებს. დინამოელთა საკუთრებაა ლადო ახალაია, თუმცა მას დარჩენა-არდარჩენას კითხვის ნიშანი უზის — ახალაია მოსკოვის „დინამოს“ სარეზერვო გუნდში ვარჯიშობს.

ჯერჯერობით არაფერი ისმის ვლადიკავკაზის „ალანიას“ ქართველების გადინამოელებაზე. რაც უნდა იყოს, ცხადაძის გუნდი მეორე წრისთვის უფრო გაძლიერდება, ვიდრე დასუსტდება.

## ბორჯომი

ნაახალწლევს „ბორჯომმა“ გასასინჯად მიიწვია ერთი ხანობა ქუთაისის „ტორპედოში“ მოთამაშე მცველი გიგლა ახალაია, აზერბაიჯანული „გიანჯას“ ფორვარდი მიხეილ ხუციშვილი და ექსსიონელი თავდამსხმელი ერეკლე მერებაშვილი. მათ გარდა, გადაწყვეტილია თბილისის „სპარტაკის“ ლაშა ჯანგიძისა და გორის „დილას“ საბა სულთანიშვილის დამატება.

ბორჯომელებმა ჯერჯერობით ორი ფეხბურთელი (პაატა გვირჯიშვილი და რევაზ ჯიქია) გაუშვეს, დიდი შანსია, ლაშა ჭელიძე „სიონში“, ხოლო ბესიკ მიქიაშვილი „თბილისში“ გადავიდნენ. რაც შეეხება გუნდიდან წასვლის მოსურნე რევაზ გეწაძეს, იგი კვლავ „ბორჯომთან“ ერთად ვარჯიშობს.

## ამერი

გიორგი ჩიხრაძის გუნდში ახალი წლის შემდეგ დიდი ცვლილებები არ მომხდარა. „ამერი“ თანაქალაქელი „სპარტაკის“ თავდამსხმელ ვასილ ლუჭაშვილს აკვირდება, ისე კი, ყვითლებმა ჯერ კიდევ დეკემბერში იზრუნეს გაძლიერებაზე — გრიგოლ დოლიძე, თენგიზ ჩიკვილაძე და დავით ბოლქვაძე რა ძალაცაა, ალბათ იცით.

„ამერი“ ამჟამად ბაკურიანშია შეკრებაზე, 25 იანვრიდან კი თურქეთში მოემზადება.

რაც შეეხება გუნდიდან წასულებს, ესენი არიან: კონსტანტინე დარსანია, გივი ჩხეტიანი, ნიკა ნადირაძე და გიორგი ნიკურაძე.

## ზესტაფონი

„ზესტაფონი“ ჩვეულებრივად, სრული დატვირთვით ემზადებაო, ირწმუნებიან კლუბის მესვეურები და მართლაც ასეა, მაგრამ რას ნიშნავს „ფეროში“ ფინანსური პოლიციის შესვლა და „ფეროს“ ერთ-ერთი მთავარი მესვეურის და „ზესტაფონის“ პრეზიდენტის ილია კოკაიას საზღვარგარეთ წასვლა?

კლუბის პრესსამსახურიც და სხვა თანამშრომლებიც ამბობენ, ფინანსურმა პოლიციამ უბრალოდ საწარმო შეამოწმა, ხოლო კოკაია ადრეც ხშირად დადიოდა უცხოეთში და ამაში გასაკვირი არაფერიაო. ძალიანაც კარგი, ასე თუა...

რაც შეეხება წამსვლელ-მომსვლელებს, „ზესტაფონს“ ექსლოკომოტიველ მეკარე გია ჭანტურიას შეძენა მოუწადინებია. კიდევ ის, რომ თავდამსხმელი რევაზ კვერნაძე „ზესტაფონმა“ ექვსი თვით ქუთაისის „ტორპედოში“ გაანათხოვრა. „ზესტაფონს“ არც ერთი ახალწვეული არ ჰყავს, მაგრამ „ფერო“ ეყოლოს კარგად და შემადგენლობის გაძლიერებაზე უარს რატომ იტყვის...

## ბათუმი

„ბათუმი“ სამეორეწრეოდ ახალი გუნდი იქნება: გეცოდინებათ, გაშვებული ფეხბურთელების ნაცვლად ზღვისპირელებმა „ლოკომოტივიდან“ დაიმატეს გიორგი სეთურიძე, მიხეილ მახვილაძე, ლაშა ქებაძე, გიორგი და როინ ონიანები, „ბორჯომიდან“ რევაზ ჯიქია, ნაახალწლევს კი „სოხუმიდან“ თენგიზ უგრეხელიძე გადაიბირეს.

ოთარ გაბელიამ გვითხრა, რომ სერიოზული მუშაობა მიდის მოსკოვის „ტორპედოს“ ყოფილი ფორვარდის, დავით ნაკანის შესაძენადაც...

## დანარჩენი

ცხრილის ზედა ნახევარში მყოფ გუნდებზე წვრილად უკვე ვთქვით და რა ხდება ქვემოთ? ზოგიერთი კლუბი სულს ებრძვის, ისეთ დღეშია და სამეორეწრეოდ ვინ და რამდენი ფეხბურთელი დარჩებათ, არავინ იცის. მაგალითად, გორის „დილას“ მხოლოდ ერთი თვის ხელფასი გაუსტუმრეს და გამოდის, დანარჩენი სამი თვე ფეხბურთელებს ტყუილად ურბენიათ.

თელავის „კახეთი“ ხვალ იწყებს ვარჯიშს, მანამდე კი ორ ფეხბურთელს — გიორგი ნადირაშვილს და ირაკლი სიხარულიძეს გამოეთხოვა.

„კახეთს“ კიდევ რა უჭირს, „ცხინვალი“ სისხლისგან იცლება, ლამის მთელი გუნდი წავიდა და კაცმა არ იცის, უმაღლეს ლიგაში პოლიტმოტივებით აღზევებული გუნდი საერთოდ ითამაშებს თუ არა მეორე წრეში.

არდადეგები დაუმთავრდათ „სოხუმსა“ და „ტორპედოს“, თუმცა ცხელ-ცხელი ცნობები ამ გუნდებიდან მაინცდამაინც არაა. ეგაა, ქუთათურებმა ჯერაც არ იციან, გამოუვათ თუ არა ისრაელში შეკრებაზე წასვლა.

ფოთის „კოლხეთში“ თურქული „ბეშიქთაშის“ მეპატრონეთა მისვლა ისე გაჭიანურდა, საეჭვო გახდა. ყოველ შემთხვევაში, კლუბის ხელმძღვანელთაგან საგულისხმო არაფერი ისმის. კოლხები შემადგენლობას ასე თუ ისე ინარჩუნებენ და დაშლის საფრთხე არ ემუქრებათ — მერია როგორღაც ინახავს კლუბს.

რაც შეეხება აუტსაიდერებს — „თბილისი“ რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერებას აპირებს, თუმცა გვარები ჯერ არ სახელდება. აი, „სპარტაკი“ კი... გაძლიერებას ვინ ჩივის, უხელფასო გუნდიდან ყველას გაქცევაზე უჭირავს თვალი.

აი, ასეთი სატრანსფერო რია-რიაა ქართულ კლუბებში. ჯერ სადა ხართ, მეორე წრის განახლებამდე ხომ თვეზე მეტი დარჩა...

**ილია ნანობაშვილი**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მძიმეა, ძამია!

## ზაზა ფაჩულია ტვირთმა მოღალა



ზაზა ფაჩულია საახალწლოდ დაიღალა

6 იანვარი

**ბოსტონი 98:103 ატლანტა**

ბოსტონი: ვესტი (23), დებისი (11), პირსი (23), ჯეფერსონი (17), ბლუნტი (4); ალენი (9), გრინი (6), ლაფრენცი (4), რიდი (1), ბანქსი, პერკინსი

ატლანტა: აივი, ჯონსონი (20), სმიტი (11), ჰარინგტონი (28), ფაჩულია (28 წუთი, 9 ქულა, 10 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება); ლუ (15), ჩილდრესი (9), უილიამსი (9), სტუდემაიერი (2)

**სან ანტონიო 83:77 მინესოტა**

სან ანტონიო: პარკერი (23), ჯინობილი (21), ბოუენი (14), დანკანი (12 ქულა, 14 მოხსნა)

მინესოტა: გარნეტი (18 ქულა, 17 მოხსნა), იარიჩი (16), შჩერბიაკი (15)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**ტორონტო 112:92 ჰიუსტონი**

ტორონტო: ჯეიმსი (30), ბოში (22 ქულა, 16 მოხსნა), ვილანოვა (21), პიტერსონი (19)

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (37), ვესლი (19)

**ნიუ ჯერსი 113:106 ორლანდო**

ნიუ ჯერსი: კარტერი (31), კიდი (16 ქულა, 13 პასი, 11 მოხსნა), ჯეფერსონი (15), კარსტიჩი (14)

ორლანდო: ჰოვარდი (19 ქულა, 14 მოხსნა), ნელსონი (18), ჰილი (14), თურქოღლუ (14)

**ნიუ იორკი 113:92 ვაშინგტონი**

ნიუ იორკი: ფრაი (30), მარბერი (15 ქულა, 11 პასი), რობინსონი (16)

ვაშინგტონი: არენასი (22), ჯემისონი (22), ბატლერი (16)

**დეტროიტი 97:85 სიეტლი**

დეტროიტი: პრინსი (21 ქულა, 11 მოხსნა), ბილაფსი (21), ჰამილტონი (15), ბ. ვოლესი (13 ქულა, 21 მოხსნა)

სიეტლი: ლუისი (27), ალენი (22)

**მემფისი 87:65 იუტა**

მემფისი: გასოლი (27 ქულა, 18 მოხსნა, 7 პასი, 4 დაფარება), ჯონსი (13), ჯექსონი (13), მილერი (13)

იუტა: კირილენკო (20 ქულა, 6 მოხსნა, 6 დაფარება)

**ნიუ ორლეანი 90:80 პორტლენდი**

ნიუ ორლეანი: სნაიდერი (22), ვესტი (19 ქულა, 13 მოხსნა)

პორტლენდი: დიქსონი (22)

**მილუოკი 91:105 ჩიკაგო**

მილუოკი: რედი (25), უილიამსი (15)

ჩიკაგო: ჰაინრიხი (18), ნოჩიონი (17), დუჰონი (16)

**დენვერი 112:114 დალასი**

*ძირითადი დრო 100:100*

დენვერი: ენტონი (28), მილერი (21 ქულა, 11 პასი), ბოიკინსი (19)

დალასი: ნოვიცკი (27 ქულა, 10 მოხსნა, 7 დაფარება, 5 პასი), ტერი (27), ჰოვარდი (18)

**საკრამენტო 118:114 კლიპერსი**

საკრამენტო: ბიბი (32), მილერი (26), სტოიაკოვიჩი (19 ქულა, 13 მოხსნა), მარტინი (17)

კლიპერსი: კასელი (28), კამანი (25 ქულა, 13 მოხსნა), ბრენდი (24 ქულა, 13 მოხსნა)

**ფინიქსი 111:93 მაიამი**

ფინიქსი: ბელი (24), მარიონი (19 ქულა, 16 მოხსნა), ჯონსი (16), ნეში (11 ქულა, 19 პასი)

მაიამი: უოლკერი (22), კაპონო (16), პეიტონი (15)

**ლეიკერსი 119:93 ფილადელფია**

ლეიკერსი: ბრაიანტი (48 ქულა, 10 მოხსნა), პარკერი (24)

ფილადელფია: აივერსონი (31), იგუდალა (14)

7 იანვარი

**ატლანტა 101:93 ნიუ ორლეანი**

ატლანტა: აივი, ჯონსონი (20), სმიტი (12), ჰარინგტონი (24), ფაჩულია (25 წუთი, 6 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი); ლუ (15), უილიამსი (11) სტუდემაიერი (8), ჩილდრესი (5)

ნიუ ორლეანი: სნაიდერი (4), სმიტი (7), მეისონი (7), ვესტი (2), ბრაუნი (8); კლაქსტონი (9), მასიაუსკასი (8), ბატლერი (5), ანდერსენი (3)

**დალასი 83:79 მინესოტა**

დალასი: ნოვიცკი (26), ჰოვარდი (15 ქულა, 11 მოხსნა)

მინესოტა: გარნეტი (26 ქულა, 11 მოხსნა), შჩერბიაკი (25 ქულა, 10 მოხსნა)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**ვაშინგტონი 103:102 ბოსტონი**

ვაშინგტონი: არენასი (31), ჯემისონი (24), ბატლერი (20)

ბოსტონი: დევისი (24), პირსი (23)

**ორლანდო 108:92 შარლოტი**

ორლანდო: ჰოვარდი (19 ქულა, 12 მოხსნა), ფრენსისი (18), ნელსონი (18), ბათი (16 ქულა, 12 მოხსნა), სტივენსონი (18)

შარლოტი: ბოგანსი (22)

**კლივლენდი 96:88 მილუოკი**

კლივლენდი: ჯეიმსი (35), გუდენი (14 ქულა, 17 მოხსნა), მარშალი (14)

მილუოკი: რედი (34)

**დეტროიტი 90:94 იუტა**

*ძირითადი დრო 82:82*

დეტროიტი: ბილაფსი (24), ჰამილტონი (18), პრიმსი (14)

იუტა: კირილენკო (24 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი), უილიამსი (14), ოქური (13 ქულა, 17 მოხსნა)

**ჩიკაგო 111:82 მემფისი**

ჩიკაგო: ჰაინრიხი (26), გორდონი (22), ნოჩიონი (16)

მემფისი: ბურქსი (18), გასოლი (15)

**ფინიქსი 91:86 სან ანტონიო**

ფინიქსი: ნეში (22 ქულა, 10 პასი), მარიონი (20 ქულა, 10 მოხსნა), დიაუ (18)

სან ანტონიო: დანკანი (19 ქულა, 12 მოხსნა), ჯინობილი (19), პარკერი (18), ჰორი (15 ქულა, 11 მოხსნა)

**კლიპერსი 109:112 ლეიკერსი**

კლიპერსი: მობლი (36), ბრენდი (28 ქულა, 10 მოხსნა)

ლეიკერსი: ბრაიანტი (50 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი)

**„ატლანტა ჰოქსის“** ქართველ ცენტრ ზაზა ფაჩულიას საახალწლოდ დაღლა დაეტყო და შესაბამისად შედეგიანობასაც უკლო. ეს იმით აიხსნება, რომ ფაჩულიას არასდროს ჰქონია ასეთი დატვირთვები. ის ჯერ მხოლოდ 21 წლისაა და მართალია საქართველოშიც, ევროპაშიც და ამერიკაშიც ყველას დაუმტკიცა, რომ კალათბურთში ბალღი არაა, მაინც ცოტა მოღალა ნბა-ს გუნდის ძირითადი ცენტრის ტვირთმა. 30-30 წუთით თამაში ლამის ყოველ მეორე დღეს და ჭიდილი მსოფლიოს ყველაზე მაღალ და ჯანიან ათლეტებთან დისნეი ლენდში გასეირნებასავით და პოპკორნის კნაწუნივით იოლი რომ არაა, ყველა ვხვდებით. ბოლო ექვს მატჩში ფაჩულიამ საშუალოდ 8,2 ქულა და 7,3 მოხსნა გაუხერხა „ატლანტას“, რაც მის საამსეზონო მაჩვენებლებზე შესამჩნევად ნაკლებია. ჯორჯიელებმა ამ ქევსი შეხვედრიდან ოთხი დათმეს, ამასთან ორი „ტორონტო რეპტორზთან“ და ამ უხეირო გუნდს აღმოსავლეთ კონფერენციაში უსუსტესის უსიამო იმიჯიც ჩამოართვეს. 6 იანვარს ფაჩულიამ 9 ქულა და შეხვედრაში უმეტესი 10 მოხსნა გააკეთა, „ატლანტამ“ კი ბოსტონში მოუგო ასოციაციის მომგებ და სახელშელახულ „სელტიქსს“ და ოთხმატჩიანი წაგებების სერია შეწყვიტა. 24 საათის შემდეგ კი „ჰოქსმა“ შინ „ნიუ ორლეან-ოკლაჰომა ჰორნეთსიც“ დაამარცხა და ნაშობავები უხასიათობის შემდეგ ცოტა ფერზე მოვიდა.

საქმე შესაშურად ვერ მისდის მეორე ქართველს, თავისდა ჭირად სეზონის დაწყებამდე „მინესოტა ტიმბერვულვზში“ გადასულ ნიკა ცქიტიშვილს. ფაჩულიასი არ იყოს, მასაც არ ჰქონდა იოლი და უზრუნველი შობა-ახალწლეული. მანამდე ის მხოლოდ ერთხელ, 21 დეკემბერს გაახსენდა „ვულვზის“ თავკაც დუეინ კეისის. შემდეგ მან კიდევ სამჯერ ათამაშა ქართველი ფორვარდი, თუკი ამას თამაში დაერქმევა — 28 დეკემბრიდან 4 იანვრამდე ის სამჯერ გავიდა მოედანზე, ჯამში 6 წუთით, ამ სამ ცდაზე ერთადერთხელ მოახერხა ტყორცნა და ისიც ააცილა. შეხვედრათა ოქმებში სხვა მაჩვენებლების გრაფაშიც 0 უწერია, თუ არ ჩავთვლით ერთ დაკარგვას...

**კოტე ყორშია**



კობი ბრაი_ნტმა აიწყვიტა...

# ბრაიანტი 98!

**ლეგენდარული** და განსვენებული უილტ ჩემბერლენის შემდეგ ალბათ ბევრს მოუწადინებია მის უნიკალურ რეკორდთან, ერთ მატჩში 100 ქულასთან შეთამაშება, მაგრამ ამ მომნუსხველ ციფრს ახლოსაც ვერავინ გაკარებია. რა გითხრათ, 100 ქულა ერთ კი არა, ორ თამაშშიც გვარიანი შედეგია და ქება და ხსენება ამის შემძლესაც ალალად ეკუთვნის.

6 და 7 იანვრის მატჩებში „ლეიკერსის“ მოეირიშე კობი ბრაიანტმა ჯამში თითქმის ამდენი დააგროვა, უფრო ზუსტად „ფილადელფიასთან“ და „კლიპერსთან“ 98 ქულას მოუყარა თავი და თავის გუნდს ორივე შეხვედრა მოაგებინა. ეს მან ორმატჩიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ გააკეთა.

6 იანვარს ბრაიანტის „ლეიკერსი“ ალენ აივერსონის „ფილადელფიას“ ხვდებოდა და იძულებითი უქმობიდან დაბრუნებულმა კობიმ ჯერ კიდევ მაშინ აიწყვიტა. მან აივერსონის 31 ქულის საპირისპიროდ 48 ქულა ჩააგდო და ჯერ კიდევ მაშინ გადაასწრო მას ლიგის ბომბარდირის ჩინისთვის დავაში. ბრაიანტს ერთი დღის შემდეგ ლოსანჯელესურ დერბიშიც არ დატყობია დაღლა, ესაა, ცოტა გვიან შევიდა ეშხში და პირველ ტაიმში სულ რაღაც 10 ქულის გაკეთების შემდეგ მეორეში 40 მოიხვეჭა, რითაც თავის გუნდს 16-ქულიანი ჩამორჩენა დააძლევინა. ამ ორი შეხვედრის შემდეგ კობი ბრაიანტს საშუალოდ მატჩში გაკეთებული ქულების მაჩვენებელი ბოლო წლებში არნახულ 33,7 ქულამდე „აუვარდა“. აივერსონს „მხოლოდ“ 33,1 აქვს.

**კოტე ყორშია**

ელექტრონული ბიბლიოთეკა



საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, რევაზ მინდორაშვილი და „მედროშე“



სპორტის დიდი წიგნი ქართულად პირველად აიკინძა

# 31 ჟურნალისტის 10 რჩეული

**საქართველოს** სპორტული ჟურნალისტები და მათი რჩეული საუკეთესო სპორტსმენი ტრადიციისამებრ გასული წლის ბოლოს „შერატონ მეტეხი პალასში“ შეიკრიბნენ. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ტრადიციული რეფერენდუმის გამარჯვებულმა ასევე მთავარი ტრადიციული პრიზი — გია ჯაფარიძის ბრინჯაოში ჩამოსხმული „მედროშე“ მხედარი მიიღო. მასვე გადაეცა არატრადიციული საჩუქარიც — საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ შედგენილი, დიდებულ პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბული, მეტად სოლიდური „სპორტის ენციკლოპედიის“ სასიგნალო ეგზემპლარი.

ამ კოლოსალური ნაშრომის პრეზენტაცია მოგვიანებით გაიმართება და მისი შეძენა სხვა სპორტსმენებსა და სპორტის მოყვარულებსაც შეეძლებათ, მანამდე კი მათგან მისი პირველი მფლობელის პატივი წილად ხვდა თავისუფალი სტილის მოჭიდავე რევაზ მინდორაშვილს, რაც მან შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონობით დაიმსახურა. მინდორაშვილმა 31 ჟურნალისტის გამოკითხვის შედეგად 288 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზე გავიდა შარშანდელი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლის პრიზიორი, ასევე თავისუფალი სტილის მოჭიდავე ლუკა კურტანიძე (246 ქულა).



ნინო სალუქვაძე ბოლო წლების ათეულების უცვლელი წევრია

მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: III — საქართველოს ნაკრების და ნბა-ს მოთამაშე ზაზა ფაჩულია (169 ქულა), IV — მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ძიუდოში ლაშა გუჯეჯიანი (131), V — საქართველოს ნაკრებისა და „შალკე-04-ის“ ფეხბურთელი ლევან კობიაშვილი (128), VI — მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში ოთარ თუშიშვილი (117), VII — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი იუნიორთა შორის, ძალოსანი არსენ კასაბიევი (109), VIII — ევროპის ჩემპიონატის ორგზის ვერცხლის პრიზიორი პირად და გუნდურ შეჯიბრებაში, ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე (98), IX — ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მირიან გიორგაძე (72), X — ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ბადრი ხასაია (56).

ათეულის ყველა წევრმა საჩუქრად მიიღო ამ ღონისძიების ერთ-ერთი სპონსორის, საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის მიერ დასტამბული ბრწყინვალე კალენდარი, რომელიც „ბორჯომის“ ჩამოსხმის ისტორიას ასახავს და ის ვეება სასუვენირო ბოთლი, რომელშიც პირველი ბორჯომი ისხმეოდა.

იქვე გაიმართა სახელდახელო კონკურსი სპორტის ცოდნაში, სადაც ამ ღონისძიების ერთ-ერთი სპონსორის გოგი თოფაძის ფონდის ჯილდო — ლუდის მთელი შეკვრა, დაიმსახურა ჩვენმა კოლეგამ და იმავდროულად საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა.

***ბადრი ძეთილაძის ფოტოები***







პრიზები ელდარ კურტანიძეს, ლევან კობიაშვილს და მერაბ რატიშვილს



საქართველოს ნაკრები ახალი სარაგბო სეზონისთვის ემზადება

# ივნისში საქართველოს ბარბაროსები შემოესევიან

**ცოტაც** და ჩრდილოეთ ნახევარსფეროს სარაგბო სეზონიც გახურდება. თებერვალში ბობოლათა ექვსი ერი იწყება, ამასთან მომცროთა ევროპის ერთა თასიც, სადაც საქართველოს ნაკრები თამაშობს.

შეგახსენებთ, რომ შარშან ქართველებმა ეს ტურნირი მეორედ მოიგეს, ამასთან თბილისში რუმინელთა ძლევით ჩვენებმა საცილო „ანთიმოზ ივერიელის თასიც" დაიტოვეს და 2007 წლის მსოფლიოს თასისთვის საკვალიფიკაციო უკეთესი ადგილიც დაიკავეს.

მოგეხსენებათ, ერთა თასი ამავდროულად 2007 წლის მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპიცაა. აქ 2006-07 წლის ტურნირების ჯამური შედეგით ხდება შესარჩევი ჯგუფის დაკომპლექტება. ორწლიანი მონაგარით რაც უკეთესი ადგილი გაქვს, უფრო არხეინი ჯგუფიც გარანტირებულია.

წლევანდელი ერთა თასი ჩვენებისთვის თებერვალში, ტრადიციულ მეტოქესთან, რუსეთთან ჯახით იწყება.

შარშანდელს მერე რუსი „დათვები" გვარიანად მომაგრდნენ. მწვრთნელად სამხრეთაფრიკელი ვაალის ხრინვალდი დაინიშნეს, რომელიც მანამდე რუსთა შვიდკაცა ნაკრებს წვრთნიდა.

სხვათა შორის, ხრინვალდი 2002 წლამდე პრეტორიის „ბლუ ბულზის" უკანა ხაზს მოძღვრავდა, „ბლუ ბულზი" კი ქართული სარაგბო სახლთან დამოგებრობული კლუბია. შარშაწინ პრეტორიელებმა სამმატჩა ტურნეც მოაწყვეს საქართველოში, ოღონდ ხრინვალდი ვერ იახლეს, რაკიღა ციმბირში გაექცათ სამუშაოდ. ახლა რუსებმა მას მთავარი ნაკრები ჩააბარეს და სპონსორთა არმიაც დაახვიეს.

ამ დღეებში „დათვები" სამხრეთ აფრიკაში, სავარაუდოდ პრეტორიაში გაშლიან ბანაკს, საამატჩოდ კი ჩვენები 20 იანვრიდან შეიკრიბებიან. მათ ისევ მალხაზ ჭეიშვილი და დავით ჩავლეიშვილი მოამზადებენ.

იქამდე შორია, მაგრამ ცხელი ამბავია და ვთქვათ. აპრილში, როცა დიდები სეზონს მოილევენ, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები დუბაიში წავა, სადაც მსოფლიოს თასი უწევს. შარშან ჩვენები ელიტიდან „B" ჯგუფში ჩამოქვეითდნენ, წლეულს კი უკან დაბრუნებას შეეცდებიან. საამისოდ მათ ქვედა დივიზიონის 16-გუნდა ტურნირის უეჭველი მოგება სჭირდებათ, რადგან ელიტაში მხოლოდ გამარჯვებული ადის. დუბაიში ჩვენს ჭაბუკებს „ხულიგანას" მთავარი მწვრთნელი მამუკა ტყეშელაშვილი და „ყოჩების" მოთამაშე-მწვრთნელი ნიკო ჭავჭავაძე წაიყვანენ, რომლებსაც ნაახალწლევს ჩააბარეს ჭაბუკები.

ახალი მწვრთნელები ჰყავთ 18-წლამდელებსაც. მათ ნაკრების ყოფილი კაპიტანი დიმა ობოლაძე და ჭაბუკთა კლუბ, პატარძეულის „ვეფხვების" მწვრთნელი ზურაბ ამონაშვილი უთავკაცებენ. თავის ასაკში „ვეფხვებმა" თუ რამ იყო, ყველაფერი მოიგეს და ამონაშვილიც ამად დაწინაურდა.

აპრილშივე, 18-წლამდელებს იტალიურ ტრევიზოში უწევთ ევროპის ჩემპიონატი. ჩვენები ელიტ ლიგაში ითამაშებენ, იქ კი სულ 8 საუკეთესო გუნდია. აქედან ქვედა დივიზიონში უარესი ერთი გუნდი ვარდება.

19 და 18-წლამდელებმა სპორტის აკადემიის მოედანზე უკვე დაიწყეს შეკრება და ერთმანეთში საკონტროლო მატჩებსაც ითამაშებენ.

წლეულს პირველად შეიკრიბება 17-წლამდელთა ნაკრები. ესენი საგანგებოდ იკრიბებიან, რადგან ინგლისიდან ფრიად საპატიო მოწვევა მოუვიდათ. სარაგბო ქველი ორგანიზაციის „SOS"-ის მოთავემ ჯონ ფროუდფუტმა ჩვენები ინგლისში, პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე მიიპატიჟა. ამ ასაკში რაგბიში ჩემპიონატები და მსგავსი რამ არ ტარდება და ტურნირი ფესტივალივითაა. იქ გამარჯვებული არ ვლინდება, სამაგიეროდ, ჩვენები გამოცდილებას მიიღებენ. ქართველები სამ მატჩს ითამაშებენ.

მათ გარდა ტურნირზე მიწვეულნი არიან: ინგლისის, ირლანდიის, უელსის, შოტლანდიის, საფრანგეთისა და კანადის გუნდები. 17-წლამდელებს დავით გოცაძე, მეტსახელად „სტამბულა" უთავკაცებს, რომელიც ბავშვთა კლუბ „ჯიქების" მწვრთნელიცაა.

ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც: გადაწყვეტილია, რომ ივნისში საქართველოში ჩამოვა „ინგლისელ ბარბაროსთა" კრებული. ასეთი ნაკრები წელიწადში ერთხელ იკრიბება და მათთავის ჯერ კიდევ უცნობ ქვეყნებში მოგზაურობს.

„ბარბაროსების" შეკრების პრინციპი ასეთია: ამ კრებულში მხოლოდ ჩაუქი მორაგბეები შედიან, თანაც მხედველობაში მიიღება მათი ჯენტლმენური ქცევა მოედანზე და მოედანს მიღმა. ულირსს იქ არავინ გააკარებს. ინგლისელების გარდა „ბარბაროსებში" იქაური ჩემპიონატის ლეგიონერებიც ითამაშებენ, რაც „ბარბაროსული" წესია. „ბარბაროსები" თბილისში ერთ მატჩს ჩვენს ნაკრებთან ითამაშებენ.

**ბათუ ხარძიანი**

ძიუდო

# ხაბარელმა ბაკურიანით და უზვიადაუროდ დაიწყო

**თბილისის** ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი წლეულს მსოფლიო ძიუდოს სერიის გამხსნელი შეჯიბრი იქნება. ევროპის ძიუდოს კავშირმა ახლახან ასპარეზობათა სრული სია გამოამზეურა. 17-ტურნირიანი სერია 4-5 თებერვალს, „სპორტის სასახლეში" გაიხსნება. წლის ერთ-ერთ უმთავრეს პირველობამდე, ევროპის ჩემპიონატამდე, რომელიც მაისის შუა რიცხვებში გაიმართება, ლეონდინგის (18-19 თებერვალი), პრაღის (4-5 მარტი), როტერდამის (18-19 მარტი), ბორასის (25-26 მარტი), მინსკისა (1-2 აპრილი) და ლისაბონის (15-16 აპრილი) ტურნირებიც მოესწრება.

ამავე თარიღებში ქალთა საერთაშორისო ტურნირებიც ჩატარდება ბაქოში, ბუდაპეშტში, ვარშავაში, ტალინში, რომში, ბირმინგემსა და ბუქარესტში.

„მსოფლიოს სუპერთასად" მონათლული სამი ტურნირი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მსგავსად, ქალებსა და ვაჟებს ერთდროულად უმასპინძლებს. ესენია: პარიზის (11-12 თებერვალი), ჰამბურგისა (25-26 თებერვალი) და მოსკოვის (8-9 აპრილი) სუპერთასები.

საქართველოს ნაკრებმა სეზონი გაფართოებული შემადგენლობით, ბაკურიანის შეკრებით, ექვსი დღის წინ დაიწყო. მთავარმა მწვრთნელმა მხოლოდ ზურაბ ზვიადაური ვერ იახლა თან. ოლიმპიური ჩემპიონი მუხლის ოპერაციის შემდეგ სპეციალური სამედიცინო პროგრამით ემზადება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



## რეგულარული ჩემპიონატი

# სამი სალო და ერთიც შვედი

*7 იანვარს კანადაში ჰოკეის დღე იზეიმეს. ამ დღეს ლიგის 6 კანადური კლუბი შეეჯახა ერთმანეთს*

7 იანვარი

**ვანკუვერი 4:3 კალგარი**

*0:1 1:0 2:2 1:0*

0:1 იელი (8), 1:1 სალო (27), 1:2 ფან იოფი (44), 1:3 იგინლა (45), 2:3 კარტერი (53), 3:3 სალო (60), 4:3 მორისონი (63)

**ამ** ნებისმიერი, კანადელისთვის საამაყო დღეს ყველაზე წარმატებული „ვანკუვერის" ფინელი მცველი სამი სალო აღმოჩნდა... არცთუ ისეთმა შედეგიანმა უკანახაზელმა ორი შაიბაც გაიტანა და ბრენდან მორისონსაც დაეხმარა გადამწყვეტის შეგდებაში.

**ედმონტონი 2:3 ტორონტო**

*0:2 1:0 1:1*

0:1 სტეიჯენი (9), 0:2 ტაკერი (20), 1:2 ჰორკოფი (40), 1:3 კილგერი (42), 2:3 რ. სმიტი (55)

**აქაც** ყველაზე მეტი ქათინაური არაკანადელს ხვდა წილად. სტუმართა შვედი მეკარე მიქაელ ლინდრევისტი მატჩის უდავო გმირი გახდა, რაზეც მის მიერ მოგერიებული 36 დარტყმა მეტყველებს.

**მონრეალი 4:1 ოტავა**

*4:0 0:1 0:0*

1:0 კოივუ (2), 2:0 ბულიონი (7), 3:0 ბონკი (13), 4:0 დანდენო (16), 4:1 მარტინსი (34)

**საოცარია,** მაგრამ ამ დღეს კანადური კლუბებისაგან ყველაზე სუსტად თასის ერთ-ერთმა ფავორიტმა, „ოტავამ" იასპარეზა. ტრავმირებული ლიდერების, დანიელ ალფრედსონის და ჯეისონ სპეცის არყოფნაში სტუმრებმა პირველივე პერიოდში დაყარეს ფარ-ხმალი.

**რეინჯერსი 4:0 ფლორიდა**

*2:0 1:0 1:0*

1:0 იაგრი (5), 2:0 ნეიმინენი (17), 3:0 პრუხა (27), 4:0 იაგრი (53)

**დეკემბრის** საუკეთესო შემტევმა მოთამაშემ იარომირ იაგრმა მორიგი ორი გოლით დაადასტურა თავისი ლიდერობა ბომბარდირთა დავაში. ამჟამად მის აქტივში 65 (27+38) ქულაა.

**პიტსბურგი 3:4 ატლანტა**

*1:1 2:2 0:1*

0:1 კოვალჩუკი (5), 1:1 უელე (16), 1:2 კოვალჩუკი (25), 2:2 მელოუნი (33), 2:3 სლეიტერი (37), 3:3 უელე (40), 3:4 სავარი (57)

**იაგრს** კვალდაკვალ „ატლანტელი" ილია კოვალჩუკი მისდევს. შობა-ახალწელიწადის პერიოდში უაღრესად მძლავრად ათამაშებულმა რუსმა თავისი საგოლე სერია კიდევ ორი შაიბით გააგრძელა და 32 გოლი დაუგროვდა. ამას „პიტსბურგის" ვუნდერკინდმა ლიდერმა სიდნი კროსბიმ ორი პასით კი უპასუხა, მაგრამ 4-ჯერ წესებიც დაარღვია და სწორედ ერთ-ერთი მისი გაძევება გამოიყენა კოვალჩუკმა.

**სან ხოსე 3:2 ლოს ანჯელესი**

*1:2 2:0 0:0*

0:1 ვიცნოვსკი (11), 0:2 ევერი (12), 1:2 ს. ტორნტონი (16), 2:2 მარლო (31), 3:2 ს. ტორნტონი (36)

**მინესოტა 4:1 ანაჰაიმი**

*2:1 0:0 2:0*

1:0 ბუგარდი (10), 1:1 ფედორიუკი (12), 2:1 რ. რობიტაილი (15), 3:1 გაბორიკი (43), 4:1 უაიტი (44)

**ბუფალო 2:3 ნიუ ჯერსი**

*1:1 0:2 1:0*

1:0 აფინოგენოვი (18), 1:1 ლანგენბრუნერი (20), 1:2 რაფალსკი (23), 1:3 გომესი (27), 2:3 ვანეკი (59)

**აილენდერსი 0:3 კაროლინა**

*0:0 0:3 0:0*

0:1 ბრინდამორი (23), 0:2 უიტნი (28), 0:3 სტილმანი (30)

**ბოსტონი 6:3 ტამპა**

*1:2 3:1 2:0*

0:1 მოდინი (1), 0:2 არტიუხინი (5), 1:2 შტურმი (18), 1:3 ლეკავალიე (22), 2:3 იურჩინა (30), 3:3 იურჩინა (34), 4:3 ბერჟერონი (35), 5:3 აქსელსონი (49), 6:3 ლიპი (60)

**კოლორადო 3:2 კოლუმბუსი**

*2:0 0:1 0:1 0:0 1:0*

*ბულიტების სერიაში*

1:0 ტანგეი (16), 2:0 სვატოში (19), 2:1 ფიოდოროვი (30), 2:2 ნეში (48), 3:2 გადამწყვეტი ბულიტი: ტანგეი.

**სამველ ლარიბიანი**

ბომბარდირები: იაგრი (რეინჯერსი) 65 (27+38); კოვალჩუკი (ატლანტა) 63 (32+31); სავარი (ატლანტა) 61 (19+42); ტორნტონი (სან ხოსე) 59 (15+44); ჰიტლი (ოტავა) 56 (26+30); ფორსბერგი (ფილადელფია) 56 (14+42); ალფრედსონი (ოტავა) 55 (25+30); ჰოსა (ატლანტა) 53 (22+31); სტაალი (კაროლინა) 52 (26+26); დემიტრა (ლოს ანჯელესი) 50 (20+30); მაკეიბი (ტორონტო) 49 (15+34); კროსბი (პიტსბურგი) 48 (21+27); ტანგეი (კოლორადო) 48 (17+31); სპეცა (ოტავა) 48 (13+35)

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ფილადელფია | 41 | 27 | 8 | 6 | 151:124 | 60 |
| რეინჯერსი | 42 | 23 | 12 | 7 | 129:106 | 53 |
| ნიუ ჯერსი | 42 | 19 | 18 | 5 | 123:133 | 43 |
| აილენდერსი | 41 | 18 | 21 | 2 | 127:149 | 38 |
| პიტსბურგი | 41 | 11 | 21 | 9 | 119:163 | 31 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ოტავა | 40 | 28 | 9 | 3 | 167:97 | 59 |
| ბუფალო | 42 | 27 | 13 | 2 | 136:124 | 56 |
| ტორონტო | 42 | 24 | 15 | 3 | 137:130 | 51 |
| მონრეალი | 40 | 19 | 15 | 6 | 117:131 | 44 |
| ბოსტონი | 41 | 16 | 19 | 6 | 121:131 | 38 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 41 | 27 | 10 | 4 | 151:129 | 58 |
| ატლანტა | 44 | 20 | 18 | 6 | 158:156 | 46 |
| ტამპა | 43 | 21 | 19 | 3 | 127:135 | 45 |
| ფლორიდა | 44 | 16 | 22 | 6 | 111:139 | 38 |
| ვაშინგტონი | 39 | 13 | 23 | 3 | 109:154 | 29 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 41 | 28 | 10 | 3 | 153:105 | 59 |
| ნეშვილი | 40 | 25 | 12 | 3 | 125:116 | 53 |
| ჩიკაგო | 40 | 13 | 23 | 4 | 105:142 | 30 |
| კოლუმბუსი | 41 | 12 | 27 | 2 | 87:148 | 26 |
| სენტ ლუისი | 39 | 10 | 24 | 5 | 103:150 | 25 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კალგარი | 42 | 25 | 12 | 5 | 112:106 | 55 |
| ვანკუვერი | 42 | 23 | 14 | 5 | 138:132 | 51 |
| ედმონტონი | 42 | 23 | 15 | 4 | 140:130 | 50 |
| კოლორადო | 43 | 23 | 17 | 3 | 159:141 | 49 |
| მინესოტა | 42 | 20 | 18 | 4 | 121:105 | 44 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| ლოს ანჯელესი | 44 | 27 | 15 | 2 | 153:126 | 56 |
| დალასი | 40 | 26 | 12 | 2 | 133:106 | 54 |
| ანაჰაიმი | 41 | 18 | 16 | 7 | 116:116 | 43 |
| ფინიქსი | 41 | 20 | 19 | 2 | 117:121 | 42 |
| სან ხოსე | 39 | 18 | 16 | 5 | 123:123 | 41 |

*თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები*

## მსოფლიოს თასი

# ავსტრიული საჩუქარი კოსტელიჩს




AFP ადელბოდენიდან

ბენჯამინ რაიხმა ზეიმი მოიწყო

**საშობაო** არდადეგებისა და ხანმოკლე შესვენების შემდეგ სამთო-მოთხილამურეები კვლავ ჩაერთვნენ მსოფლიო თასის გათამაშებაში. ქალებმა ახალი წლის პირველი ეტაპი ხორვატიულ ზაგრებსლემეში გაითამაშეს, სადაც სლალომში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. კაცებმა კი შვეიცარიულ ადელბოდენში მოიყარეს თავი.

ქალების შეჯიბრით დავიწყოთ, რომელიც საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. აქ აშკარა ფავორიტად სოლტ-ლეიკ სიტის სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი იანიაცა კოსტელიჩი მიიჩნეოდა — გარდა იმისა, რომ მშობლიურ ტრასაზე გამოდიოდა, მას იმ დღეს დაბადების დღეც ჰქონდა, რაც ხორვატისთვის, წესით, დამატებითი მოტივაცია უნდა ყოფილიყო. თუმც იანიცამ საბოლოოდ მაინც ვერ მოახერხა გამარჯვება.

კოსტელიჩმა პირველივე ცდაზე საკმაოდ ცუდი შედეგი აჩვენა და მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა. მეორე ცდაც ძალიან წარუმატებლად დაიწყო, როცა ტრასაზე ახალგამოსულმა ხელთათმანი და ერთი ჯოხი დაკარგა. წესით, მას აქ უნდა დაემთავრებინა გამოსვლა, მაგრამ ხორვატმა სწორედ ამ მომენტში გამოავლინა თავისი საუკეთესო თვისებები და, მიუხედავად ეკიპირების დეტალების დაკარგვისა, მეორე ცდაზე აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენა, თუმცა მან მაინც ვერ მოახერხა პირველი ადგილის შენარჩუნება.

ორი ცდის შემდეგ კი საუკეთესო შედეგები ორმა ავსტრიელმა აჩვენა — მარლის შილდმა და 19 წლის თინეიჯერმა კატრინ ცეტელმა. მათ შესაბამისად პირველ-მეორე ადგილი დაიკავეს და ხორვატი მესამე ადგილზე დააქვეითეს.

ყველაფერთან ერთად კოსტელიჩმა მცირე ტრავმაც მიიღო. „ერთ მოსახვევში თოვლი გაყინული იყო. როცა სისწრაფის მოსამატებლად ჯოხს დავეყრდენი, ხელიდან გამისხლტა და უმისოდ მომიწია ტრასის დიდი ნაწილის გავლა. კი ვიფიქრე, აქ გავჩერდები-მეთქი, მაგრამ მაყურებელს, რომელიც ჩემს სანახავად და საგულშემატკივროდ მოვიდა, იმედს ვერ გავუცრუებდი, ამიტომაც გავაგრძელე დაშვება... არა მგონია, ხელი მომტეხოდა, მაგრამ თითებში საკმაოდ ძლიერ ტკივილს ვგრძნობ... რაც არ უნდა იყოს, შემდეგ ეტაპზე მაინც გავალ" — თქვა ხორვატმა.

კოსტელიჩისთვის ერთადერთი პოზიტიური მოვლენა ის იყო, რომ საერთო ჩათვლაში მისმა მთავარმა კონკურენტმა, შვედმა ანია პიერსონმა მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა და ხორვატმაც თავისი უპირატესობა 67 ქულამდე გაზარდა.

ძალიან გახარებული იყო გამარჯვებული მარლის შილდი:

„კარგად ვგრძნობდი თავს, დარწმუნებული ვიყავი ჩემს შესაძლებლობებში... ჩემი საიდუმლო ის არის, რომ ტრასის ბოლო მონაკვეთში ვუმატებ სიჩქარეს და ვრისკავ ხოლმე, რამაც ამჯერადაც გამიმართლა... მთავარია, ეს ფორმა ოლიმპიადამდე შევინარჩუნო".

ცალკე აღნიშვნის ღირსია თინეიჯერი კატრინ ცეტელიც, რომელიც უახლოეს წლებში ალბათ მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს. ასე განსაჯეთ, ამ სეზონში ყველა ეტაპზე, რომლეშიც მან მონაწილეობა მიიღო, პოდიუმზე ავიდა.

ავსტრიული ტრიუმფით დამთავრდა შვეიცარულ ადელბოდენში კაცებს შორის გამართული შეჯიბრი გიგანტურ სლალომში. ზედიზედ მეორე გამარჯვება ჩაიწერა აქტივში ბენჯამინ რაიხმა. მან პირველივე ცდაზე აჩვენა საუკეთესო შედეგი, მეორე ცდაც დიდებულად დაიწყო და ტრასის პირველი ნახევარი იმდენად სწრაფად გაიარა, რომ თავისი უპირატესობა მეორეადგილოსან შვედ ფრედერიკ ნიუბერგთან თითქმის წამამდე გაზარდა, თუმცა ფინიშთან ახლოს წაიბორძიკა და კინაღამ საერთოდ გავიდა ტრასიდან. რაიხმა მაინც მოახერხა თავის შეკავება, ფინიში გადაკვეთა და პირველი ადგილი დაიკავა.

„ასეთი შეცდომის შემდეგ ნამდვილად არ მეგონა, რომ გავიმარჯვებდი, მაგრამ გამიმართლა და ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს" — განაცხადა რაიხმა.

მეორე ადგილზე გასული შვედი ფრედერიკ ნიუბერგი კი ყველაზე ხანდაზმული მოთხილამურე აღმოჩნდა, რომელიც წლეულს პოდიუმზე ავიდა.

ასეა თუ ისე, ამ გამარჯვებით რაიხმა განიმტკიცა თავისი უპირატესობა გიგანტური სლალომის დისციპლინის ჩათვლაში, ხოლო საერთო ჩათვლაში კი პირველ ადგილზე გადაინაცვლა. გადაასწრო რა ამერიკელ დარონ რავლესს. სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა მეორე ცდაზე თითქმის იმავე ადგილზე წაიბორძიკა, სადაც რაიხმა, მაგრამ, ავსტრიელისგან განსხვავებით, ფინიშამდე მისვლა ვერ მოახერხა.

**ბაჩა ლომჯარია**

**ქალები**

*ზაგრებ-სლემე. ხორვატია*

**სლალომი**

1 მარლის შილდი (ავსტრია) — 1.53,63
2 კატრინ ცეტელი (ავსტრია) — 1.54,07
3 იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) — 1.55,09
4 ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) — 1.55,25
5 ანია პიერსონი (შვედეთი) — 1.55,27

**კაცები**

*ადელბოდენი. შვეიცარია*

**გიგანტური სლალომი**

1 ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) — 2.23,25
2 ფრედერიკ ნიუბერგი (შვედეთი) — 2.23,74
3 კალე პალანდერი (ფინეთი) — 2.24,47
4 სტეფან გიორგლი (ავსტრია) — 2.24,47
5 ტომას ფანარა (საფრანგეთი) — 2.24,68

---

ავტორბოლა

# ბებერი ბარონი მიდის?




**ტრადიციულად** საპირველფორმულო წელს მიხაელ შუმახერი ხსნის. 3 იანვარი მისი დაბადების დღეა — დიადი გერმანელი პილოტი 37 წლის მოიყარა.

შარშან ამ დროს მან იტალიაში ზღაპრული ვილა, ლამის ციხესიმაგრე შეიძინა, იმავე დღეებში კი 10 მილიონი დოლარი გადაურიცხა, გეხსომებათ, აზიაში არნახული ცუნამისგან დაზარალებულ მოსახლეობას.

რაც შეეხება საფორმულო შედეგებს, მიხაელი შარშანდელი ხელმოცარვის მიუხედავად, სარბიელიდან წასვლას არ აპირებს. და, ბუნებრივია, როგორც ნამდვილი პროფესიონალი, სარევანშოდაა განწყობილი.

კი, ბატონო, ეს მიხაელის წლევანდელ ამბავს ეხება, ხოლო სეზონის ბოლოს „ფერარიდან" წავა თუ დარჩება, შემოდგომაზე შევიტყობთ.



---

ბიატლონი

## მსოფლიოს თასი

**ვაჟები**

*ობერჰოფი. გერმანია*

**გუნდური 4X7.5 კმ**

1 გერმანია — 1:25.19,8(1+13)
2 რუსეთი — +0.32,2(0+11)
3 ბელარუსია — +0.36,6(0+14)

**სპრინტი. 10 კმ**

1 ვინსენტ დეფრასნე (საფრანგეთი) — 27.03,7(0+0)
2 ალექსანდერ ვოლფი (გერმანია) — +0.14,7(0+1)
3 მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი) — +0.22,5(0+0)

**ქალები**

*ობერჰოფი. გერმანია*

**გუნდური 4X6 კმ**

1 საფრანგეთი — 1:22.34,3(1+10)
2 გერმანია — +0.07,1(4+15)
3 ბელარუსია — +0.19,3(2+11)

**სპრინტი. 7.5კმ**

1 კატი ვილჰელმი (გერმანია) — 23.45,9(1+0)
2 ანა-კარინ ოლოფსონი (შვედეთი) — +0.05,9(0+0)
3 ლინდა ტიორჰომი (ნორვეგია) — +0.54,7(0+0)




AFP ობერჰოფიდან

ობერჰოფში გერმანელმა მარკო გრაისმა ბიატლონში თავისი „კვარტეტის" გამარჯვების მერე დროშის ფრიალით გული იჯერა

---

სათხილამურო რბოლა

## მსოფლიოს თასი

**ქალები**

*ოტეპაა. ესტონეთი*

**10კმ**

1 ჰილდე პედერსენი (ნორვეგია) — 27.09,4
2 კრისტინა შმიგუნი (ესტონეთი) — +00,19
3 ჟუსტინა კოვალჩიკი (პოლონეთი) — +19,09

**კაცები**

*ოტეპაა. ესტონეთი*

**15 კმ**

1 ვასილი როტჩევი (რუსეთი) — 37.15,3
2 ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი) — +00,50
3 სერგეი ნოვიკოვი (რუსეთი) — +03,69

---

ტრამპლინიდან ხტომა

## მსოფლიოს თასი

*ინსბრუკი, ავსტრია*

1 ლარს ბისტოელი (ნორვეგია) — 264.7 ქულა
2 იაკუბ იანდა (ჩეხეთი) — 263.2 ქულა
3 ბიორნ რომორენი (ნორვეგია) — 258.1

*ბიშჰოსჰოფენი. ავსტრია*

1 იანე აჰონენი (ფინეთი) — 293.0 ქულა
2 იაკუბ იანდა (ჩეხეთი) — 291.0 ქულა
3 როარ ლიოკელსოი (ნორვეგია) — 282.0

| ATP |
| --- |
| დოჰა. ყატარი |
| მაგარსაფარი. |
| საპრიზო 975 000 დოლარი |
| **ფინალი** |

**როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 1) — გაელ მონფილზი (საფრანგეთი, 7) — 6:3, 7:6**

# დოჰაში, როგორც უიმბლდონზე

## ფედერერი მოგებით იწყებს


AFP დოჰადან

ფედერერს მეტოქეთა დამარცხება ამ ხმლის გარეშეც ეადვილება

*ერთთვიანი პაუზის შემდეგ მორიგი საჩოგბურთო სეზონი დაიწყო. ამ კვირაში ერთდროულად რამდენიმე ტურნირი ჩატარდა. როგორც წესი, ამ დროს საჩოგბურთო სამყაროს ეპიცენტრი ავსტრალიაში ინაცვლებს, სადაც წლის პირველი დიდი მოვლენის, ავსტრალიის ღია პირველობის წინ რამდენიმე საშუალო დონის ტურნირი იმართება ხოლმე.*

*ზოგიერთი მათგანის გამარჯვებულთა ვინაობა უკვე გარკვეულია, ზოგიც უახლოეს დღეებში დასრულდება. საკმაოდ საინტერესო ტურნირი ჩატარდება ყატარის დედაქალაქ დოჰაშიც*

**2006 წელი** ისე დაიწყო, როგორც გასული დამთავრდა — შვეიცარიელი როჯერ ფედერერი წლეულსაც უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევა. მან ახალი სეზონი კვლავ მაჟორულ ნოტაზე დაიწყო და პირველივე კვირიდან ყველას დაანახვა, რომ უკვე დიდებულ ფორმაშია.

ყატარის დედაქალაქში ფედერერმა არანაირი შანსი არ დაუტოვა თავის მოწინააღმდეგეებს — დოჰაში ისე იმარჯვა, რომ სეტიც კი არ წაუგია.

ფინალამდე ფედერერს თითქმის არანაირი პრობლემა არ შექმნია. მხოლოდ პირველ წრეში ცოტა გაუჭირდა ვეტერანი ფრანგ ფაბრის სანტოროს დამარცხება. ტურნირის გადამწყვეტ მატჩში კი შვეიცარელი კიდევ ერთ ფრანგს, თინეიჯერ გაელ მონფილზს დაუპირისპირდა.

ახალგაზრდა მონფილზმა საკმაოდ კარგად ითამაშა და თავის სახელოვან მოწინააღმდეგეს პრობლემებიც შეუქმნა. ჯერ იყო და, პირველ სეტში ფრანგი 3:0 დაწინაურდა, მაგრამ ვერ შეძლო ამ უპირატესობის შენარჩუნება. მეორე სეტში კი მონფილზმა ტაიბრეიკამდეც გაძლო, მაგრამ ფედერერმა ყველაზე საჭირო მომენტებში ოდნავ მოუმატა და სეზონში პირველი გამარჯვებაც ჩაიწერა აქტივში, თვითონ შეხვედრა კი საათი და 55 წუთი გაგრძელდა.

ფედერერმა დოჰაში ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა და შვედი შტეფან ედბერგის შემდეგ პირველი ჩოგბურთელი გახდა, რომელმაც ეს შეძლო (ედბერგმა ეს 1994-1995 წლებში მოახერხა). ისე კი, ახლო აღმოსავლეთში ფედერერი საკმაოდ კარგად გამოდის. ამ რეგიონში მან უკვე მეხუთე ტიტული მოიგო. დოჰას გარდა მას სამჯერ უმარჯვია დუბაიში.

„მშვენიერია ახალი წლის მოგებით დაწყება. ამ ტურნირზე გამოჩნდა, რომ შარშან მიღებული ტრავმა თითქმის ბოლომდე მოვიშუშე... აქ (ახლო აღმოსავლეთში) უიმბლდონივითაა, ჩამოვდივარ და ვიგებ. ამის გამო აქეთ ყოველთვის მომიხარია“ — თქვა მატჩის შემდეგ გამარჯვებულმა, რომელიც რეიტინგის სათავეში უკვე 101 კვირა იმყოფება.

მონფილზმა კი, ბევრი შეცდომა დავუშვი და ამის გამო ვერ გამოვიყენე ჩემი შანსებიო.


AFP ოკლენდიდან

მარიონ ბარტოლი


AFP გოლდ კოსტიდან

მარტინა ჰინგისი

| ATP TENNIS |
| --- |
| ჩენაი. ინდოეთი |
| მაგარსაფარი. |
| საპრიზო 355 000 დოლარი |
| **ნახევარფინალი** |

**კარლოს მოია (ესპანეთი, 3) — რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი, 2) — 6:4 6:7 7:6; ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია, 1) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) — 6:3 3:6 7:6**

| ATP TENNIS |
| --- |
| ადელაიდა. ავსტრალია |
| მაგარსაფარი. |
| საპრიზო 394 000 დოლარი |
| **ფინალი** |

**ფლორენ სერა (საფრანგეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) — 6:3 6:4**

| WTA TOUR |
| --- |
| გოლდ კოსტი. ავსტრალია |
| მაგარსაფარი. |
| საპრიზო 175 000 დოლარი |
| **ფინალი** |

**ლუსი საფაროვა (ჩეხეთი) — ფლავია პენეტა (იტალია, 4) — 6:3 6:4**

**გაიმართა** რამდენიმე WTA TOUR-ის ტურნირიც. ამათგან ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა ავსტრალიურ გოლდ კოსტში მიმდინარე შეჯიბრი, ვინაიდან სწორედ აქ უნდა შემდგარიყო შვეიცარელი მარტინა ჰინგისის ჩოგბურთში დაბრუნება.

რა თქმა უნდა, უდიდეს ინტერესს იწვევდა შვეიცარელის კონდიციები და მომზადების დონე. სწორედ აქ გაირკვეოდა, რამდენად სერიოზულია ჰინგისის სურვილი, დაუბრუნდეს სპორტს და რამდენად შეუძლია მას უმაღლეს დონეზე თამაში.

და მაინც, ამ ტურნირის მიხედვით დასკვნის გამოტანა ძალიან ძნელია. ჰინგისმა საკმაოდ კარგად იასპარეზა იმ სპორტსმენისთვის, რომელიც კორტზე ოთხ წელიწადს არ გასულა. მან შეძლო ნახევარფინალში გასვლა, სადაც სამსეტიან დაპირისპირებაში წააგო იტალიელ ფლავია პენეტასთან.

ერთის მხრივ, ჰინგისმა არცთუ ცუდად იასპარეზა — ნახევარფინალამდე სამი მეტოქე დაამარცხა და რამდენჯერმე გაგვახსენა ერთ დროს ნომერ პირველი ჩოგანისთვის დამახასიათებელი თამაში. თუმც, მეორეს მხრივ, ნახევარფინალამდე მას მაღალი დონის მეტოქე ნამდვილად არ შეხვედრია (ვენესუელელი მარია ალეხანდრა ვენტო-კაბჩი, ჩეხი კლარა კუკალოვა და ესპანელი ნურია ლაგოსტერა-ვივესი), ხოლო როგორც კი ოდნავ სერიოზულ მოწინააღმდეგეს შეხვდა, კარგად გამოჩნდა, რომ შვეიცარიელი ჯერ ბოლომდე მზად არ არის (განსაკუთრებით ფიზიკური მომზადებით). სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს ახლანდელ ფავორიტებს.

თვითონ ტურნირი თინეიჯერი და მეტად იმედისმომცემი ჩეხ ლუსი საფაროვას გამარჯვებით დასრულდა, რომელმაც 1 საათსა და 27 წუთში დაამარცხა იტალიელი პენეტა. ახალგაზრდა ჩეხისთვის ეს კარიერაში მოპოვებული მესამე ტიტულია.

| WTA TOUR |
| --- |
| ოკლენდი. ახალი ზელანდია |
| მაგარსაფარი |
| საპრიზო 145 000 დოლარი |
| **ფინალი** |

**მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი, 6) — ვერა ზვონარიოვა (რუსეთი, 8) — 6:2 6:2**

**ბაჩა ლომაძვილი**



სერენა უილიამსი

# საინტერნეტო პოპულარობა

**AOL.COM-მა** გამოაქვეყნა იმ სპორტსმენთა სია, რომელთა საიტებსაც ყველაზე მეტი მომხმარებელი ჰყავს. საუკეთესო ათ სპორტსმენში სამი ჩოგბურთელი ქალია. მათ შორის ყველაზე პოპულარული სერენა უილიამსი ყოფილა, რომელმაც სიაში მესამე პოზიცია დაიკავა. მიუხედავად იმისა, რომ შარშან იგი რეიტინგის პირველ ათეულშიც ვერ მოხვდა... მეექვსე ადგილზე რუსი თინეიჯერი მარია შარაპოვაა, რომელიც არა მარტო სპორტული შედეგებით, არამედ გარეგნობითაც იპყრობს ინტერნეტ-მომხმარებელთა ყურადღებას.

ათეულში მოხვდა კიდევ ერთი რუსი, ანა კურნიკოვა, იგი მერვე პოზიციაზეა. კურნიკოვასადმი ინტერესი ალბათ იმის შემდეგაც გაიზარდა, რაც მის ჩოგბურთში შესაძლოა დაბრუნებაზე ალაპარაკდნენ.

საერთოდ კი ამ სიაში პირველ ადგილზე ინდიკარის რბოლების ვარსკვლავი დანიკა პატრიკი გავიდა, რომელსაც ოდნავ ჩამორჩა „ტურ დე ფრანსის“ შვიდგზის ჩემპიონი ლენს არმსტრონგი.

**ბაჩა ლომაძვილი**



მარია შარაპოვა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. I ლიგა

#### 10 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 27 | როტერჰემი-პორტ ვეილი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 23:45 | 28 | სკანთორპი-ჰადერსფილდი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 23:45 | 29 | სუონსი-დონსი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 19:00 | 542 | ბარნსლი-ჯილინგემი | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 19:00 | 543 | ბლეკპული-ოლდემი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |

### ინგლისი. კონფერენსი

#### 9 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 54 | ჰალიფაქსი-მორიკომბი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |

#### 10 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 55 | ტემუორთი-გრინგტონი | 4.50 | 3.20 | 1.70 | 1.87 | 1.23 | 1.11 |
| 23:45 | 56 | იორკი-სტივენეიჯი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |

### იტალია. სერია B

#### 9 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 94 | მანტოვა-მოდენა | 2.10 | 2.70 | 4.00 | 1.18 | 1.37 | 1.61 |

### იტალია. სერია C1/B

#### 9 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 115 | ლანჩანო-ფროზინონე | 2.40 | 2.60 | 3.00 | 1.24 | 1.33 | 1.39 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი

#### 11 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:15 | 148 | ბორდო-ოსერი | 2.00 | 2.90 | 3.80 | 1.18 | 1.31 | 1.64 |
| 23:30 | 149 | აიაჩო-ნანტი | 2.50 | 2.80 | 2.90 | 1.32 | 1.34 | 1.42 |
| 23:30 | 150 | ლანსი-ნანსი | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.07 | 1.23 | 2.06 |
| 23:30 | 152 | მეცი-სტ.ეტიენი | 2.65 | 2.80 | 2.70 | 1.36 | 1.33 | 1.37 |
| 23:30 | 153 | მონაკო-სტრასბური | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 23:30 | 154 | რენი-ლე მანი | 1.80 | 3.10 | 4.50 | 1.13 | 1.28 | 1.83 |
| 23:30 | 155 | სოშო-ნიცა | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 23:30 | 156 | ტრუა-ლილი | 2.60 | 2.80 | 2.80 | 1.34 | 1.34 | 1.39 |
| 23:45 | 157 | ლიონი-მარსელი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |

#### 12 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 159 | ტულუზი-პსჟ | 2.75 | 2.80 | 2.60 | 1.38 | 1.33 | 1.34 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი

#### 9 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 172 | სედანი-კლერმონი | 1.55 | 3.30 | 5.75 | 1.05 | 1.22 | 2.09 |

#### 10 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 173 | ბასტია-ამიენი | 1.65 | 3.10 | 5.20 | 1.07 | 1.25 | 1.94 |
| 23:30 | 174 | კაენი-რეიმსი | 1.75 | 3.00 | 4.60 | 1.10 | 1.26 | 1.81 |
| 23:30 | 175 | დიჟონი-ლავალი | 1.85 | 2.90 | 4.20 | 1.12 | 1.28 | 1.71 |
| 23:30 | 176 | გენიონი-კრეტეი | 2.25 | 2.70 | 3.30 | 1.22 | 1.33 | 1.48 |
| 23:30 | 177 | ისტრი-სეტე | 1.80 | 2.90 | 4.50 | 1.11 | 1.28 | 1.76 |
| 23:30 | 178 | მონპელიე-შატორუ | 2.20 | 2.70 | 3.40 | 1.21 | 1.33 | 1.50 |
| 23:30 | 179 | ლორიანი-გენგამი | 1.80 | 2.90 | 4.50 | 1.11 | 1.28 | 1.76 |

#### 11 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 180 | გრენობლი-ვალენსიენი | 2.30 | 2.70 | 3.20 | 1.24 | 1.33 | 1.46 |
| 23:30 | 181 | ლე ავრი-ბრესტი | 2.00 | 2.80 | 3.90 | 1.16 | 1.32 | 1.62 |

### პორტუგალია. სუპერლიგა

#### 9 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 541 | რიუ ავე-ლეირია | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |

### საბერძნეთი

#### 9 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 255 | კალამარია-პაოკ | 5.00 | 3.40 | 1.60 | 2.02 | 1.21 | 1.08 |

### ინგლისი. თასი

#### 10 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 275 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 3.90 | 3.30 | 1.85 | 1.78 | 1.25 | 1.18 |
| 23:45 | 276 | უიგანი-არსენალი | 3.20 | 3.30 | 2.05 | 1.62 | 1.24 | 1.26 |

### ჰოკეი. შვედეთი

#### 9 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 447 | ლულეო-ტიმრე | 1.60 | 4.40 | 3.50 | 1.17 | 1.09 | 1.94 |
| 22:00 | 448 | მოდო-ბრიუნესი | 1.55 | 4.50 | 3.55 | 1.15 | 1.07 | 1.98 |
| 22:00 | 449 | ლეკსანდი-იურგორდენი | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |

#### 10 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 450 | ფერიესტადი-მორა | 1.40 | 4.70 | 4.50 | 1.07 | 1.06 | 2.29 |
| 22:00 | 451 | სიოდერტელიე-ლინჩიოპინგი | 2.80 | 4.40 | 1.80 | 1.71 | 1.09 | 1.27 |

### ჰოკეი. ფინეთი

#### 9 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 458 | ტაპარა-ტურკუ | 1.65 | 4.20 | 3.10 | 1.18 | 1.07 | 1.78 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უელსელს ალმუნიას მოკვლა უნდოდა



მანუელ ალმუნია

**ლონდონის** „არსენალის“ ესპანელი მეკარე მანუელ ალმუნია „კარდიფთან“ სათასო შეხვედრისას სიკვდილს ძლივს გადაურჩა — ასოციაციის თასის ოცდამეთორმეტედფინალში „ჰაიბერიზე“ „მეთოფეთა“ გოლკიპერს მოწინააღმდეგის გალეშილი ფანი მივარდა და სტიუარდების დროული ჩარევა რომ არა, შეიძლებოდა, ყველაფერი ცუდად დასრულებულიყო.

„კარდიფს“ ლონდონში 7 ათასი გულშემატკივარი ჩაჰყვა და ამათგან ერთ-ერთი რატომღაც ალმუნიას დაესხა თავს. როგორც ბრიტანული მედია წერს, ფანი „არსენალის“ მეკარეს დანის ქნევითა და ლანძღვა-გინებით მიეჭრა. სტადიონის დაცვა დროზე მოეგო გონს და ფრიად აგრესიული უელსელი სადაც ჯერ არს, იქ წაათრიეს. ადგილობრივებზე მეტად მომხვდურ უელსელ ქომაგებს უაქტიურიათ — ალმუნიას ეპიზოდამდე „მეთოფეთა“ ფეხბურთელებსა და მატჩის არბიტრს მაშხალების თუ სხვა საგნების წვიმა დაატეხეს თავს.

მატჩი 2:1 დასრულდა „არსენალის“ გამარჯვებით. დამხვდურთაგან ორივე ბურთი რობერ პირესმა შეაგდო, სტუმრებიდან კი იმ ერთით ჯერომმა იხეირა. „კარდიფი“ გათამაშებას გამოეთიშა. არადა, უელსური კლუბი ერთადერთია არაინგლისელთაგან, რომელსაც ასოციაციის თასი მოუგია, თან ფინალში, შორეულ 1927 წელს სწორედ „არსენალი“ დაუმარცხებია.

„მანჩესტერ სიტისთან“ რომ ვეთამაშეთ, მოედანზე შიშველი გოგო გადმოხტა, რაც გაცილებით უკეთეს სანახაობას წარმოადგენდა. ეს მთვრალი უელსელი რაღა უბედურება იყო“ — ინგლისურად იხუმრა მატჩის მერე არსენ ვენგერმა, „არსენალის“ ფრანგმა თავკაცმა.

**ლადო ხომერიკი**

# ევრა — მანჩესტერის ახალი კანტონა?

**პატრის ევრამ** თქვა, „მანჩესტერ იუნაიტედში“ თვით ერიკ კანტონაზე უკეთესად ვითამაშებო.

ფრანგული „მონაკოს“ აწ უკვე ყოფილი მარცხენა მცველი დღეიდან სერ ალექს ფერგიუსონის შეგირდი ხდება და მიზნად დაუსახავს, არც მეტი, არც ნაკლები, სახელოვანი მანჩესტერელი, ასევე ფრანგი ერიკ კანტონა დაჯაბნოს.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ მისი სახელოვანი წარსულისა და ერიკ კანტონას გამო ავირჩიე. როცა ინგლისური კლუბი ჩემ წარმომადგენლებს დაუკავშირდა, ძალიან გახარებული ვიყავი — მე ხომ იმ „მანჩესტერში“ მომიწევს თამაში, სადაც თავის დროზე დიდი კანტონა ბურთაობდა. ახლა ერთი რამ დამრჩენია — „ოლდ ტრეფორდზე“ ხალხს ჩემი თამაშით ერიკის დიდება დავავიწყო“ — განუცხადა 24 წლის ფეხბურთელმა თანამემამულე „ეკიპის“ ჟურნალისტებს.



პატრის ევრა

პატრის ევრა ალექს ფერგიუსონსაც აქებს. „ვერც კი დამიჯერებია, რომ „იუნაიტედში“ ჩავირიცხე. ეს საოცარი ოცნებაა, რომელიც რეალობად ვაქციე. ახალი გუნდის გამარჯვებისთვის თავდაუზოგავად ვიბრძოლებ, სერ ალექსი დიდი მწვრთნელია“ — აღნიშნა ფრანგმა უკანასკნელმა.

**ლადო ხომერიკი**

# დეკო ესპანიოლთან დაზარალდა



პორტუგალიელი დეკო „ბარსელონას“ კარგა ხნით დააკლდება

**„ბარსელონას“** პორტუგალიელი ვარსკვლავი დეკო ჰოსპიტალშია. კატალონიელთა მობურთალმა „ესპანიოლთან“ შეხვედრაში მძიმე ტრავმა მიიღო და ახლა ექიმების ხელშია. ყველაფერი კი მატჩის 57-ე წუთზე მოხდა, როცა ლუიშ ანდერსონ და სოუზა „ესპანიოლის“ მცველს სახიფათოდ შეასკდა და გონდაკარგული მოედნიდან გაიყვანეს. „ბარსას“ ექიმთა განცხადებით, დეკოს ტვინის მსუბუქი შერყევა აქვს, ოღონდ საბოლოო დიაგნოზის გამოსატანად სამედიცინო შტაბს 24 საათი მაინც დასჭირდება.

თანაქალაქელების, „ესპანიოლისა“ და „ბარსელონას“ შერკინება ფრანკ რაიკარდის შეგირდთა გამარჯვებით დასრულდა — სტუმრებმა მასპინძლები 2:1 დაამარცხეს. „ბარსელონა“ დღეს ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერია.

**ლადო ხომერიკი**



რობერტო კარლოსი

# რობერტო კარლოსმა დი სტეფანოს აჯობა

**მადრიდის** „რეალის“ ბრაზილიელი რობერტო კარლოსი ესპანურ პრიმერაში ჩატარებული მატჩების რაოდენობით ლეგენდარულ ალფრედო დი სტეფანოს გაუტოლდა. გუშინ ბრაზილიელმა „სამეფო კლუბის“ შემადგენლობაში 330-ე თამაში ჩაატარა, ისევე როგორც თავის დროზე ლეგენდარულმა ალფრედო დი სტეფანომ შეძლო, ოღონდ არგენტინელმა „ვერცხლის ისარმა“ პრიმერადივიზიონში ორი კლუბის მაისურით იასპარეზა („რეალი“ და „ესპანიოლი“), თავხოტორა რობერტო კარლოსმა კი ოდენ გალაქტიკური გუნდის თეთრი ფორმით.

„ახლა „რეალის“ ისტორიაში ყველა ლეგიონერზე მეტი მატჩი მაქვს ჩატარებული. ეს ჩემთვის უდიდესი პატივია, თუმც ალფრედო დი სტეფანოს მაინც მიუწვდომელ მწვერვალად ვთვლი. იგი „რეალისთვის“ გაცილებით მეტია, ვიდრე ერთი, თუნდაც ლეგენდარული ფეხბურთელი“ — აღნიშნა ბრაზილიელმა მცველმა „მარკასთან“ საუბარში.

**ლადო ხომერიკი**

# თოფი საფრანგეთისთვის
## ბირმინგემი პანდიანის უშვებს

**ვალტერ პანდიანის** სამომავლო კლუბის ვინაობა ჯერჯერობით გაურკვეველია. ურუგვაელმა მოიერიშემ ჟურნალისტებთან საუბარში კატალონიურ „ესპანიოლში“ გადასვლის სურვილი გამოთქვა, თუმც ვალტერის დღევანდელი კლუბი, ინგლისური „ბირმინგემი“, მოლაპარაკებას ფრანგულ „მონაკოსთან“ და „მარსელთან“ აწარმოებს.

როგორც ესპანური მედია გვამცნობს, „ესპანიოლს“ პანდიანის სანაცვლოდ ბირმინგემელთათვის მილიონი ევრო შეუთავაზებია, თუმც ფრანგები მზად არიან, „დეპორტივოს“ ყოფილი მოიერიშეს შესაძენად უფრო გულუხვად გაიკრან ჯიბეზე ხელი.

ვალტერ პანდიანის „დეპორში“ „ელ რიფლე“ ანუ „თოფი“ შეარქვეს. ვინძლო ამ „თოფმა“ უახლოეს მომავალში საფრანგეთშიც კი გაისროლოს.

**ლადო ხომერიკი**



ვალტერ პანდიანი



ჟერომ ბონისელი

# ფრანგული საახალწლო ბონისელის ამბავი

„მარსელმა“, რომელიც ჯიბრილ სისეს ეპოტინება, „ფულემის“ ყოფილი მცველი ჟერომ ბონისელი სეზონის ბოლომდე ითხოვა. ზღვისპირულმა გუნდმა შეტევის გაძლიერება ვერ შეძლო, მაგრამ დაცვას მიხედა. 32 წლის ბონისელმა გასულ უქმეებზე სამედიცინო შემოწმება გაიარა, გუნდთან ერთად ივარჯიშა და კონტრაქტიც გააფორმა. „ბონისელს უდიდესი გამოცდილება აქვს, რაც ძალიან გამოგვადგება. ფიზიკურად ჯანზეა და აუცილებლად დაგვეხმარება“ — განაცხადა „მარსელის“ მწვრთნელმა ჟან ფერნანდესმა.

ჟერომ ბონისელი „ფულემიდან“ 2005 წლის ივნისში გაათავისუფლეს და უკონტრაქტოდ დაეხეტებოდა. მას „მონპელიეში“, „დეპორტივოსა“ და „რეინჯერსში“ უთამაშია.

მარსელელებმა „მონაკოს“ ფორვარდი ტოიფილუ მაულიდაც გადაიბირეს. ჟან ფერნანდესი ადრე „მეცის“ თავკაცი გახლდათ, სადაც მაულიდა თამაშობდა. ასე რომ, ორი ძველი ნაცნობი ერთმანეთს „მარსელში“ შეხვდა. „ბედნიერი ვარ მაულიდას შეძენით. „მეცში“ თამაშისას მან 12 გოლი მიითვალა და ექვსი საგოლე პასი დააგროვა. ფაქტობრივად, მან გავარდნისგან გადაგვარჩინა.

მაულდას გარდა, ფერნანდესს სტრასბურელი მიკაელ პაგის გადაბირებაც სწადია, რომლისთვისაც „სოშოსაც“ დაუდგამს თვალი.

„ლიონის“ მწვრთნელმა, ჟერარ ულიემ, დაადასტურა, რომ ხორვატიის ნაკრების ნახევარმცველ ნიკო კრანჩარს გუნდში ეპატიჟება. კრანჩარი ხორვატთა ეროვნული გუნდის მწვრთნელ (ზლატკო კრანჩარის) შვილია და სპლიტის „ჰაიდუკში“ თამაშობს. იგი „ლიონის“ დირექტორს გუშინწინ უნდა შეხვედროდა, მაგრამ...

„ნიკო ჯერ კიდევ იმ დროიდან მახსოვს, როცა ხორვატიის 17-წლამდელთა ნაკრებში გამოდიოდა — განაცხადა ულიემ — მას კარგად ვიცნობ. ნიკო კრანჩარი მეტად ტექნიკურია და თამაშის ყაიდით ერიკ კანტონას წააგავს. ისიც გავიგე, რომ კონტრაქტის თანახმად, 2006 წელს „ჰაიდუკიდან“ სამი მილიონი ევროს სანაცვლოდ, წასვლის უფლება აქვს. განა შეიძლება, ნიჭიერი ფეხბურთელით არ დაინტერესდე?“ ნიკო კრანჩარმა ხორვატიის ჩემპიონატში 17 მატჩი ითამაშა და შვიდი გოლი მიითვალა.

ფრანგული ლიგის ყველაზე მაჩანჩალა გუნდმა, „სტრასბურმა“ სულეიმან იოულას შეძენა გადაწყვიტა, რადგან 24 წლის გვინეელი აფრიკის ერთვნებათა თასზე არ ითამაშებს. კლუბს „მიდლსბროს“ შილარდ ნემეტის შეძენაც სწადია. იოულა ამჟამად „ბეშიქთაშს“ ეკუთვნის. „სტრასბურმა“ თურქებთან საქმე მოაგვარა და, ფაქტია, რომ იოულა საფრანგეთში გადასვლაზე ფიქრობს.

ვაჟა ხუციშვილი



ტოიფილუ მაულიდა

# ბუნდესლიგური საზამთრო
## რამდენიმე ცხელი კერძი გერმანული სამზარეულოდან

იანვრის დადგომა ევროპაში სატრანსფერო დახლის გახსნას ნიშნავს. ბაზარზე nაir-ნაირი ფეხბურთელები „გამოჰყავთ“ და კლუბებს შორის ვაჭრობა ჩაღდება. ბუნდესლიგელები სქელი ქისებით ვერ გამოირჩევიან, მაგრამ თითო-ოროლა მობურთალს მაინც „შეეთამაშებიან“. ბუნდესლიგის გუნდთა ბოლო ნავაჭრის ამბავს ქვემოთ მოგახსენებთ



ჰალილ ალტინტოპი „შალკეში“ ძმა ჰამიტს შეეკედლა

### კაიზერსლაუტერნი

„კაიზერსლაუტერნმა“ 2006-ში უკვე მესამე ფეხბურთელი შეიძინა — ლიეჟის „სტანდარდიდან“ მეთიუ ბედა გადაიბირა. 24 წლის მცველი კლუბს 2008 წლამდე შეეკრა, მაგრამ მხარეებმა ტრანსფერის ფასი არ გაამხილეს. ლაუტერნელებს მეორე წრეში ერთი მიზანი აქვთ — ბუნდესლიგაში დარჩენა. საამისოდ მათ უკვე მოასწრეს გაძლიერება. „არტმედიადან“ ნახევარმცველი ბალაჟ ბორბელი სეზონის ბოლომდე ითხოვეს. „კაიზერსლაუტერნი“ უძლიერესთა შორის ადგილს თუ შეინარჩუნებს, მაშინ სლოვაკი ფეხბურთელი კონტრაქტს გააახანგრძლივებს.

გარდა ამისა, შვედი მცველი ჯონ ინგე ჰოილანდი შეიმატეს „მალმიოდან“. „კლუბის პატრონმა ჯიბეზე ხელი გაიკრა და ყველას აჩვენა, რომ მეორე ბუნდესლიგაში გავარდნას არ ვაპირებთ“ — განაცხადა მწვრთნელმა ვოლფგანგ ვოლფმა.

### შალკე

გელზენკირხენულმა კლუბმა „კაიზერსლაუტერნიდან“ ჰალილ ალტინტოპი შეიძინა — ჰამიტ ალტინტოპის ძმა, რომელიც ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი გახლდათ. ჰალილმა რამდენიმე თურქული კლუბის შეთავაზება იუარა და გერმანიაში, ძმასთან დარჩენა ისურვა. „ეს არასოდეს ყოფილა საეჭვო, რომ მე ძმასთან ერთად თამაშს ვისურვებდი. ბუნდესლიგიდან კი არა, ევროპის სხვა ცნობილ კლუბებში გადასვლაც შემომთავაზეს, მაგრამ გერმანიაში დარჩენა ვისურვე“.

23 წლის ჰალილ ალტინტოპმა „შალკესთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ახალ მწვრთნელ მირკო სლომკას პირველი შენაძენი გახდა. ბუნდესლიგაში 13 გოლის გამტანმა თურქმა განაცხადა, „ლაუტერნის“ უძლიერესთა შორის დასატოვებლად ძალა არ დამიშურებიაო. „ყველაფერი გავილე, ამიტომ უფლება მაქვს, გუნდი შევიცვალო“ — განაცხადა ჰალილმა. ბუნდესლიგის განახლებისთანავე, იანვრის ბოლოს, „შალკე“ „კაიზერსლაუტერნს“ შეხვდება და ალტინტოპს ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაში მოუწევს.

ამასობაში, „შალკეს“ დანიელი ნახევარმცველი კრისტიან პოულსენი სამშობლოში საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. 25 წლის მოთამაშე უძლიერესად თავისმა კოლეგებმა მიიჩნიეს. „ბედნიერი ვარ, რომ ასეთი აღიარება მხვდა წილად“ — გაიხარა პოულსენმა, რომელსაც 33 პროცენტი მიემხრო.

### ბაიერნი

ფაქტობრივად, გადაწყდა, რომ „ბაიერნის“ მტანჯველი ვილი სანიოლი მიუნხენში დარჩება. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა ფრანგი მცველი მოთაფლა და ბუნდესლიგაში კარიერის გაგრძელებაზე დაითანხმა. სანიოლს თითქმის ნახევარი წელიწადია, „ბაიერნიდან“ გაქცევაზე უჭირავს თვალი და მისი მთავარი მსურველი ტურინის „იუვენტუსი“ გახლდათ. „იუვეს“ პატრონი ამბობდა, ეს ტრანსფერი მოგვარებულიაო, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა — ფრანგმა ნახევარმცველმა კლუბთან კონტრაქტი გააახანგრძლივა. ეს კი ნიშნავს, რომ მიხაელ ბალაკთან კონტრაქტის გასახანგრძლივებლად გადმოთვლილი თანხა სანიოლთან გარიგებას დაახარჯეს. ული ჰიონესმა სწორედ ამის თაობაზე განაცხადა, ფრანგი მცველი კვლავაც ჩვენ გუნდში ითამაშებსო.

### შტუტგარტი

36 წლის ნახევარმცველმა ჰორსტ ჰელდტმა კარიერა დაასრულა, მაგრამ იმავდროულად ახალი სავარძელი „გაირტყა“ — „შტუტგარტის“ საფეხბურთო დირექტორად დანიშნეს.

ჰელდტის კონტრაქტი კლუბთან სეზონის ბოლოს იწურებოდა, თუმცა ფეხბურთელმა კარიერის დასრულება ისურვა და ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა. ჯოვანი ტრაპატონის ხელქვეით ჰელდტს ერთი მატჩიც არ უთამაშია და დირექტორის პოსტზე ჰერბერტ ბრიემი შეცვალა.

### დორტმუნდი

გერმანიის ნაკრებისა და დორტმუნდის „ბორუსიას“ ნახევარმცველმა სებასტიან კელმა კლუბთან კონტრაქტი ორი წლით გააახანგრძლივა. 25 წლის ფეხბურთელმა გარიგებას ხელი მოაწერა და „შავ-ყვითელ“ მაისურს კიდევ ორი სეზონი ატარებს. „მე თავი კლუბთან და აქაურ ფანებთან გავაიგივე — განაცხადა კელმა — დარწმუნებული ვარ, „ბორუსია“ მეორე წრეში უკეთ ითამაშებს და ევროთასებზე გასვლას შეძლებს“.

სებასტიან კელი დორტმუნდის „ბორუსიაში“ 2002 წლის იანვარში, „ფრაიბურგიდან“ გადავიდა, 113 მატჩი ითამაშა და შვიდი გოლი მიითვალა.

### კიოლნი

„კიოლნი“ სეზონის ბოლომდე „შტუტგარტიდან“ მარკო შტრელერის გადაყვანას აპირებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, შესაძლოა, ლუკაშ პოდოლსკი გაასხვისოს.

ფორვარდი შტრელერი „კიოლნის“ ახალ მწვრთნელ ჰანს-პეტერ ლატურის ათვალწუნებულთა ნუსხაში პირველ ადგილზეა. შვეიცარიელი მეგოლე „თხებს“ დაახლოებით 400 ათასი ევრო დაუჯდებათ. პოდოლსკის წასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, ოღონდ უცნობია, რომელი ბუნდესლიგური გრანდი იყოჩაღებს ყმაწვილმეგოლის გადაბირებაში. შტრელერმა კლუბს თავი თუ მოაწონა, მაშინ მას 2006-2007 წლების სეზონისთვის „თხების“ შამადგენლობაში დატოვებენ.

### ნიურნბერგი

ბუნდესლიგაში დასარჩენად მებრძოლმა „ნიურნბერგმა“ თურქეთის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი სეზერ ოზთურქი, შეიძინა. ოზთურქი ბუნდესლიგაში ბელგიური „ბეერსხოტიდან“ გადაბარგდა, სადაც ამ სეზონის დასაწყისში ლევერკუზენის „ბაიერმა“ გაანათხოვრა. ოზთურქი „ნიურნბერგში“ 2008 წლის ივნისამდე დარჩება და მხარეების შეთანხმების შემთხვევაში, კიდევ ოთხ წელიწადს გაატარებს ბუნდესლიგის კლუბში.

ვაჟა ხუციშვილი

## იტალია

### სერია A. XVIII ტური

**პალერმო 1:2 იუვენტუსი**

1:0 ტერლიცი (12), 1:1, 1:2 მუტუ (15, 34)
**პალერმო:** ლუპატელი, ძაკარდო, ბარძალი, ტერლიცი, გროსო, სანტანა (ბრიენცა 78), კორინი, ბარონე, მ. გონსალესი, მაკინვა (ბონანი 46), კარაჩოლო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
**იუვენტუსი:** აბიატი, პესოტო (ბლაზი 73), ტურამი, ფ. კანავარო, კიელინი, კამორანეზი, ემერსონი, ვიეირა, მუტუ, იბრაჰიმოვიჩი (დელ პიერო 46), ტრეზეგე
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ტურამი, გონსალესი, კარაჩოლო
მსაჯი: ბერტინი
33 149 მაყურებელი

**სიენა 0:0 ინტერი**

სიენა: მირანტე, ფოლიო, პორტანოვა, ტუდორი, გასტალდელო, ალბერტო, პარო (კოლონეზე 90), ვერგასოლა, ლოკატელი (ნეგრო 73), კიეზა (დავერსა 75), ბოგდანი
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, კორდობა, სამუელი, ფაველი, ფიგუ (რეკობა 71), კამბიასო, ვერონი, სტანკოვიჩი, ადრიანო (ხ. კრუზი 84), მარტინსი (დ. პიზარო 84)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ფოლიო, ალბერტო, ვერონი
მსაჯი: საკანი
14 000 მაყურებელი

**რეჯინა 1:1 ფიორენტინა**

1:0 ლუკარელი (12), 1:1 იორგენსენი (13)
**რეჯინა:** პავარინი, ი. ფრანჩესკინი, დე როსა, ა. ლუკარელი, მესტო, პარედესი, ბიონდინი (მისიროლი 82), მოდესტო, ვიჯანი, ნ. ამორუზო, კოცა
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
**ფიორენტინა:** ფრეი, უიფალუში, გამბერინი, დი ლორეტო, პასკუალი, ბროკი (პაზიენცა 46), დონადელი, ფიორე, მონტოლივო (ბოჟინოვი 46), იორგენსენი, ტონი
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: ფრანჩესკინი, ბროკი, კოცა, პასკუალი, პაზიენცა
მსაჯი: ფარინა
10 000 მაყურებელი

**ლაციო 4:1 ასკოლი**

0:1 გუანა (14), 1:1 დი კანიო (29), 2:1 მუდინგაი (34), 3:1 პანდევი (73), 4:1 ტარე (81)
**ლაციო:** პერუცი, ოდო, სივილია, კრიბარი, ძაური, კ. მანფრედინი, მუდინგაი (ბარონიო 78), ლივერანი, პანდევი, დი კანიო (ბელერი 53), როკი (ტარე 67)
მწვრთნელი: დელიო როსი
**ასკოლი:** ფ. კოპოლა, ტოსტო, პაჩი, დომიცი, კომოტო, ფოჯა, პაროლა, გუანა (ბიზო 82), ფინი (კარიელო 78), კალიარელა (ფერანტე 78), ბიელანოვიჩი
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
გაფრთხილება: კომოტო, პანდევი
მსაჯი: სტეფანინი
22 500 მაყურებელი

**ტრევიზო 0:1 რომა**

0:1 აკილანი (34)
**ტრევიზო:** ძანკოპე, კ. ვალდესი, გუსტავო, კოტავა, დელაფიორე, ე. ფილიპინი, პარავაჩინი, ა. ფილიპინი (რ. ანდერსონი 80), პინგა, რეჯინალდო (ფავა პასარო 84), ბორიელო
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
**რომა:** დონი, პანუჩი, მექსეში, კუფრე კუფრე (ბოვო 71), დაკური, აკილანი, ტადეი, პეროტა (ა. როსი 90), ტომაზი, ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: აკილანი, დაკური, პარავიჩინი
მსაჯი: რაკალბუტო
12 500 მაყურებელი

**სამპდორია 0:2 ლივორნო**

0:1, 0:2 ლუკარელი (8, 90)
**სამპდორია:** ანტონიოლი, კ. ძენონი (კოლომბო 64), პავანი, მ. კასტელინი, მ. პიზანო (კუტუზოვი 23; ფოტი 87), დიანა, ვოლპი, დალა ბ ნა, ტონეტო, ბაცანი, ფლაკი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
**ლივორნო:** ამელია, გრანდონი, ვარგასი, გალანტე, პფერცელი (ბალერი 84), მორონე, პასონი, დე აშენტისი, კოკო, ლაზეტიჩი (ბაკაიოკო 79), კ. ლუკარელი
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
გაფრთხილება: ფლაკი, ლაზეტიჩი, ფლაკი
გაძევება: ფლაკი (73)
მსაჯი: დე სანტისი
22 000 მაყურებელი

**კალიარი 2:1 უდინეზე**

0:1 სენსინი (23), 1:1 კონტი (38), 2:1 ლანჯელა (85)
**კალიარი:** კიმენტი, ბეგა, ბიზერა, კანინი, აგოსტინი, კონტი, მ. ესპოზიტო (ფ. პიზანო 90), აბეიხონი, კონტიკიო (კაპონე 83), სუაცო, კოჩო (ლანჯელა 52)
მწვრთნელი: ნედო სონეტი
**უდინეზე:** პოლეტი, ფელიპე სენსინი, საპატა, დ. ძენონი, პინცი, ობოდო, მაური, კანდელა, დი ნატალე (ტისონე 78), დი მიკელე
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: კანდელა, ბეგა, პინცი, აბეიხონი, ობოდო, ლანჯელა
გაძევება: ობოდო (77), პინცი (62)
მსაჯი: პალანკა
7 500 მაყურებელი

**კიევო 3:1 ლეჩე**

1:0 პელისიერი (19), 1:1 დელ ვეკიო (29), 2:1 პელისიერი (52), 3:1 ძანკეტა (90)
**კიევო:** ა. ფონტანა, მალაგო, სკურტო, მანდელი, ლანა, სემიოლი, ბრიგი, ჯუნტი, დ. ფრანჩესკინი, ამაური (ტირიბოკი 72), პელისიერი (ძანკეტა 84)
მწვრთნელი: ჯუზეპე პილონი
**ლეჩე:** სიჩინიანო (ბენუსი 72), ანჯელო, დიამუტენე, სტოვინი, რულო, ერიომენკო (კოცოლინო 57), ლედესმა, დელ ვეკიო, კონანი (პელე 81), საუდატი, ხ. ვალდესი
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გაფრთხილება: სტოვინი, რულო, დელ ვეკიო, მანდელი, ლედესმა
მსაჯი: ჩამპი
6 000 მაყურებელი

**ემპოლი 1:3 მესინა**

0:1 მუსლიმოვიჩი (7), 1:1 ალმირონი (35), 1:2 მუსლიმოვიჩი (60), 1:3 დი ნაპოლი (75)
**ემპოლი:** ბერტი, ბუშე, კოდა, პრატალი, ლუკინი, ფიჩინი (ასკოლი 66), მორო, ალმირონი, ვანუკი (ლოდი 78), ტავანო, რიგანო (პოცი 84)
მწვრთნელი: მარიო სომა
**მესინა:** სტორარი, ძანკი, რეზაეი, არონიკა, სკული, დონატი, დაგოსტინო (ტუმიოლო 90), კ. კოპოლა (ჯამპა 80), პარიზი, დი ნაპოლი, მუსლიმოვიჩი (სულო 73)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
გაფრთხილება: დაგოსტინო, პრატალი, რეზაეი, მუსლიმოვიჩი, კოპოლა, რიგანო
გაძევება: პრატალი (57)
მსაჯი: ჯანნოკარო
8 000 მაყურებელი

**მილანი — პარმა**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-15 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

# შენი რეკორდი, შენი პრობლემაა

## კაპელო დელ პიეროს შემოსწყრა




AFP ფოტოდან

ლაციო — ასკოლი. გიჟმაჟ პაოლო დი კანიოსგან უკვე წიხლიც აღარ სწყინთ

**ნააკალწლევს**, პირველ ტურში მილანის „ინტერმა“ ვერაფერი დააკლო „სიენას“ და უგოლოდ გაეყარა, რითაც თანაქალაქელ კლუბს მეორე ადგილზე ასვლის საშუალება მისცა. მეორე-მესამეობას იტალიაში, მოგეხსენებათ, რა მნიშვნელობაც აქვს — მეორეადგილოსანი პირდაპირ ხვდება ჩემპიონთა ლიგაში, მესამეზე გასულს კი კვალიფიკაცია აქვს გასავლელი. სხვა მხრივ კი, საჩემპიონო რბოლას ვგულისხმობთ, მილანური კლუბების მიერ ადგილების გაცვლას ბევრი არაფერი შეუცვლია — ლიდერმა „იუვენტუსმა“ ისევ მოიგო და, მართალია, სეზონის ბოლომდე დიდი დროა, რა უნდა მოხდეს, პირველობა რომ ვერ შეინარჩუნოს.

თუმცა თანმიმდევრობით მივყვეთ.

პალერმოში „იუვენტუსი“ მარცხდებოდა, მაგრამ შესვენებამდევე მოახერხა თამაშის სათავისოდ შეტრიალება — კრისტიან ტერლიცის გოლი ადრიან მუტუმ სამ წუთში გაქვითა და მოგვიანებით მანვე გაიტანა ტურინელთა გამარჯვებისა. ოღონდ ისაა, რომ ნამატჩევს, ლიდერი გუნდი მწვრთნელის გულისწყრომას მაინც ვერ ასცდა, უფრო სწორად კი ფაბიო კაპელოს რისხვა ერთ ფეხბურთელს, ალესანდრო დელ პიეროს დაატყდა, მისი ბრალია, უფრო დიდი ანგარიშით რომ ვერ მოვიგეთო: „თამაშის ბოლოსკენ იყო ეპიზოდი, როცა დელ პიერო ვალდებული იყო ტრეზეგესთვის მიეცა პასი და გოლი გარდაუვალი იქნებოდა. ალბათ დელ პიეროს ძალიან სურს, რომ კლუბის ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდეს და ამიტომ ცდილობს კარში თავად დაარტყას. მისი ბომბარდირობის წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ იმ ეპიზოდში, ვიმეორებ, მას ტრეზეგესთვის უნდა მიეცა პასი“.

ჩვენ კი გავიხსენოთ, რომ „იუვენტუსის“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი ჯამპიერო ბონიპერტი გახლავთ.

